[illegible] საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით. წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია: ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

მთავარი კანტორა ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26 ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76 მდივანი 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი, სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 157 ოთხშაბათი 11 ივლისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 75,000 მან. № 157

დ ღ ი უ რ ი

— ბულგარეთის მთავრობა სასტიკ ზომებს ღებულობს კომუნისტურ და გლეხთა პარტიების წინააღმდეგ.

— ამერიკის მთავრობა კონგრესს სთხოვს ახალ ხარჯს სამხედრო შეიარაღების გასაძლიერებლად.

— ჩრდილოეთ ისპანეთში გამოცხადებულია მაღაროში მომუშავეთა საყოველთაო გაფიცვა.

— ოსმალეთის დელეგაცია და მოკავშირეები შეთანხმდენ ლოზანაში. ამ დღეებში მოაწერენ ხელს საზავო ხელშეკრულობაზე.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა პარასკევს, 13 ივლისს

ერთიან პარტიულ დღეს

დასმულ იქნეს დღის წესრიგში საკითხი: პრაქტიკული განხორციელება ამიერ-კავკასიაში რუსეთის კომპარტიის მე-12 ყრილობის დადგენილების ეროვნულ საკითხის შესახებ. პასუხისმგებელ ხელმძღვანელებისათვის და უჯრედების მიერ გამოყოფილ მომხსენებლებისათვის მოწყობილი იქნება სპეციალური საინსტრუქციო მოხსენება. როგორც მასალა ამ საკითხის შესახებ ისარგებლეთ; 1) მე-12 ყრილობის რეზოლიუციით ეროვნულ საკითხის შესახებ. 2) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის ცეკას დადგენილებით. მასალები მიიღეთ რაიკომებში.

ტფილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ: **რუბენი**

ხუთშაბათს, 12 ივლისს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. კომ. პარ. ტფ. კომ. შენობაში ტფ. კომიტ. პლენუმის

სხდომა

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატებისათვის სავალდებულოა.

ტფ. კომ. მდივნის მაგიერი **რუბენი.**

საჰაერო ფლოტი

მსოფლიო ბურჟუაზია ვერასოდეს ვერ შეურიგდება იმ აზრს, რომ დედამიწის ერთ მეექვსედზე ფრიალებს სოციალური რევოლიუციის წითელი დროშა, არსებობს მშრომელთა ხელისუფლება, რომელიც დღითი დღე მაგრდება და მტკიცდება.

პუანკარე და კერზონი მუდამ იმის ცდაში იყვენ და იქნებიან, რომ მოხერხებული დრო და პირობები იპოვონ მუშურ-გლეხური ხელისუფლებისთვის ლახვარის ჩასაცემად, მორიგი თავდასხმის მოსაწყობად.

ომის შემთხვევაში საბჭოთა რესპუბლიკების მძლავრ კავშირთან ბურჟუაზია უმთავრეს იმედებს ამყარებს თავის ეკონომიურ ძლიერებაზე და განვითარებულ ტეხნიკაზე. მთელი მისი ყურადღება კარგა ხანია მიპყრობილია კაცობრიობის გამანადგურებელ ახალ საშუალებათა გამონახვისკენ, სამხედრო ტეხნიკის უაღრესად განვითარებისაკენ. ამ ხრივ მას დიდ დახმარებას უწევს ბურჟუაზიული მეცნიერება და ტეხნიკა უკანასკნელ დროს დიდ ყურადღებას იპყრობს საჰაერო ფლოტის გაძლიერება, რომლისთვისაც ბურჟუაზია არ იშურებს არავითარ ხარჯებს.

საფრანგეთი, რომლის მთავრობა სცდილობს საერთაშორისო ჟანდარმის როლის კარგათ შესრულებას, ყოველწლიურად ხარჯავს საჰაერო ფლოტისთვის 44,5 მილ. დოლარს. მას არც ინგლისი რჩება, რომელმაც გასულ წელში საჰაერო ფლოტისთვის გადასდო 66 მილ. დოლარი; ასევე ითქმის ევროპის დანარჩენ სახელმწიფოებზე და შორეულ, ტერიტორიით შედარებით პატარა, მაგრამ დიდი მტაცებლური მადის მქონე იაპონიაზეც, რომელიც 18,5 მილ. დოლარს სდებს საჰაერო ფლოტისთვის. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მოსაზღვრე სახელმწიფოებში, პოლონეთსა და რუმინეთში მოკალათებული ევროპის სამხედრო მისიები საფრანგეთის და ინგლისისა ენერგიულ ზომებს იღებენ ამ ქვეყნებში ავიაციის გაძლიერებისთვის, რომ იქიდან ადვილათ შესძლონ საბჭოთა რესპუბლიკების საჰაერო განავარდებაც.

ავიაციას დიდი როლის შესრულება შეუძლია მოსალოდნელ სამხედრო შეტაკებების დროს, საჰაერო დაზვერვის და კავშირის დაჭერისთვის, აგრეთვე მტრის ზანაკში ყუმბარების გადასროლით, ტყვისმფრქვეველის საშუალებით ბრძოლის გაჩაღებით და სხვა. უკვე ეწყობა ისეთი ჰაეროპლანები, სადაც შეიძლება 30 ტყვისმფრქვეველის დატევა და რამოდენიმე ზარბაზნისაც კი.

ჯერ კიდევ არ არის თქმული უკანასკნელი სიტყვა საავიაციო ტეხნიკის განვითარებაში და ვინ იცის რა საზღაპრო ჯოჯოხეთურ ბრძოლის საშუალებათ გადააქცევენ მას ევროპის გაუმაძღარი მადის მქონე მილიტარისტები. განვლილ ომშიც დიდი სამსახური გაუწია მათ ავიაციამ და, უეჭველია, მომავალშიც დიდი იმედები ექნებათ მასზე დამყარებული.

საუკუნოებრივ მონობიდან განთავისუფლებულ რუსეთის და მის მოკავშირე რესპუბლიკების მშრომელ ხალხს არ შეეძლო გულდამშვიდებით ეცქირებია ამ საფრთხის ზრდისათვის. საჭიროა ძალისთვის ძალის დაპირისპირება, იქნება ის ხმელეთზე, ზღვაზე, თუ ჰაერში.

ყოველივე ამას კარგათ გრძნობენ საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა ფართო მასები, რომლებმაც სულ მოკლე დროში შესძლეს მთელი რიგი სხვადასხვა სისტემის ჰაეროპლანების შექმნა. როგორც ცენტრში, მოსკოვსა და პეტროგრადში, ისე საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შორეული კუთხეებიდან ყოველდღიურად აუარებელი ცნობები მოდის მშრომელთა მიერ მიღწეულ შედეგებზე საჰაერო ფლოტის შექმნის საქმეში. დაარსებულია საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებები, რომლებიც ფართო კამპანიას აწარმოებენ საბჭოთა რესპუბლიკების საჰაერო ფლოტის მშენებლობაში. პარტიული პრესაც უდიდეს მონაწილეობას ღებულობს ამ კამპანიის ჩატარებაში. ყოველი ეს სრულ იმედს იძლევა, რომ უძლეველ მშრომელთა რესპუბლიკების წითელ არმიას მალე ახალი მძლავრი მოკავშირე გაუჩნდება საჰაერო წითელი ფლოტის სახით.

საჰაერო ფლოტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშვიდობიანობის დროსაც; არა თუ ევროპაში, ჩვენში უკვე მოწყობილია საჰაერო მიმოსვლა. არსებობს ისეთი სისტემის ჰაეროპლანები, რომლებზედაც შეიძლება 120 კაცის გადაზიდვა; დიდი შედეგებია მიღწეული აგრეთვე საჰაერო ტვირთგადამზიდველობაში, შესაძლებელია ერთი. ჰაეროპლანით 16750 კილოგრამის წაღება. საათში შეიძლება 390 კილომეტრის გავლა. ფოსტის გარდა, სადაც ავიაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, საჰაერო ფლოტის გამოყენება შეიძლება აგრეთვე სასოფლო მეურნეობაში, საზღვაო მიმოსვლაში, მედიცინაში, ფიზიკაში და სხვა. ერთი სიტყვით საჰაერო მიმოსვლას და ტვირთგადაზიდვას მომავლისთვის დიდი პერსპექტივები ეშლება წინ.

სამხედრო მოქმედების დროს სწრაფად შეიძლება სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამხედრო საჭიროებისათვის გადაკეთება.

ეს გარემოება ქმნის ისეთ პირობებს, როდესაც ერთხელ შექმნილი საჰაერო ფლოტის შესანახად მთავრობას დიდი საშუალებების გაღება არ დასჭირდება. ეს ფლოტი, რამდენადაც ის შეასრულებს სატრანსპორტო და სხვა ეკონომიურ ხასიათის ფუნქციებს, მეტ წილად თვითონ მოახერხებს მასზე გაწეულ ხარჯების ანაზღაურებას.

ამნაირად, საჰაერო ფლოტის ორგანიზაცია მეტად რაციონალურად არის განზრახული და საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელნი მომავალშიც ისე ენერგიულათ განაგრძობენ საჰაერო ფლოტის მშენებლობას, როგორც დღემდე.

მზადებას საჰაერო ფლოტის კვირეულისთვის, რომლის დაწყება განზრახულია ამიერ-კავკასიაში 22 ამ თვიდან, დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეთ, ყველა შესაძლებლობანი გამოყენებულ უნდა იქნეს კამპანიის ფართო განვითარებისთვის და შემოწირულებათა მასიურ მოგროვებისათვის მთელს ამიერ-კავკასიაში. როგორც ქალაქის, ისე სოფლის მუშამ უნდა იცოდეს თუ რა დანიშნულება აქვს ამ კვირეულს და თუ რისთვის არის საჭირო საჰაერო ფლოტი. ამისთვის საჭიროა როგორც ცენტრში, ისე განსაკუთრებით პროვინციაში მომუშავე ამხანაგებმა გამოიჩინონ მაქსიმუმი ენერგიისა კვირეულის წარმატებით ჩატარებისათვის.

ის დიდი მიზანი, რომელიც დასახული აქვს საჰაერო ფლოტის კვირეულს, სრულ იმედს იძლევა, რომ მშრომელთა ფართე მასები მხურვალეთ გამოეხმაურებიან მას.

საეკონომიო-საფინანსო წერილები

I

ეკონომიური აღორძინება და კრედიტი

ომისა და რევოლიუციის პროცესში საქართველო ეკონომიურად და ფინანსიურად უკიდურესად დაუძლურდა, ამიტომ ჩვენთვის ძირითად საკითხს ეკონომიური ნაიდაგის გამაგრება შეადგენს. ამ მიზნის მისაღწევად ხელმისაწვდომი და იაფი კრედიტი ერთერთი მთავარი იარაღია. უწინ, ომამდე და რევოლიუციამდე ვაჭარ-მრეწველთა შორის არსებული ნდობა დიდ როლს თამაშობდა. ეს ნდობა საქონლის ტრიალს აადვილებდა და ვაჭრობა-მრეწველობას შედარებით უფრო ცოტა ფულის ნიშნები სჭირდებოდა. მრეწველი ვაჭრებს სამი, ექვსი და ცხრა თვით ნისიად საქონელს აძლევდა და სამაგიეროთ მათგან თამასუქებს იღებდა. ვაჭარ-მრეწველთა შორის უფრო თამასუქები ტრიალებდა, ვინემ ფული. ასეთი პირობები საქონლის გასაღებას აადვილებდა: საქონელი ადვილად უახლოვდებოდა მომხმარებელს და უკანასკნელი მის შეძენას უფრო ადვილად ახერხებდა. ამრიგათ ფართოვდებოდა საქონლის ბაზარი.

მრეწველიც ასეთივე ნდობით სარგებლობდა. უცხოეთის, განსაკუთრებით გერმანიის, მრეწველი თავის საქონელს ორი სამი წლის ვადით ნისიად ყიდიდა; უცხოელები თითქმის სრულიად ნისიად აშენებდენ რუსეთში ვეებერთელა ქარხნებს. ნედლ მასალასაც მრეწველობა ნისიად იძენდა და ვალს შეძენილ მასალის გარდაქმნის და განაღდების შემდეგ იხდიდა.

ასეთი პირობები დღეს არ არსებობს; მაგრამ შესაფერი პირობების შექმნა აუცილებელია თუ კი გვინდა, რომ ჩვენი მრეწველობა აღორძინდეს. მხოლოდ მაშინ არის მოსალოდნელი, რომ ეკონომიურმა ვითარებამ კრიზისს თავი დააღწიოს და ის ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს.

აქ ნათქვამიდან ცხადია, რომ ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურ ცხოვრებაში კრედიტის მოგვარება არის ერთი მთავარი საკითხთაგანი.

კრედიტის და მეურნეობის ევოლიუცია, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება, საბჭოთა საქართველოს ცხოვრების ეკონომიურად და კულტურულად წინ წაწევა და გამაგრება,—ეს ერთი მთლიანი, ერთი მეორისაგან გამომდინარე, გაუთიშავი საკითხია, ხოლო კრედიტის და ვაჭრობა-მრეწველობის ცალცალკე საკითხებად დაყოფა—გამოკვლევის მეთოდების და პრაქტიკული მუშაობის საქმეა.

საფინანსო პოლიტიკაში მტკიცედ უნდა ტარდებოდეს ის აზრი, რომ სახალხო მეურნეობა საფინანსო მეურნეობის საფუძველია და საფინანსო პოლიტიკა უკანასკნელის განხორციელების მეთოდია.

ამ დებულებიდან გამომდინარეობს მეორე დებულება: საფინანსო მეურნეობის ცხოვრებაში გატარების მეთოდები საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიურ განვითარების პირობებთან უნდა იყოს შეფარდებული; ხოლო თვით საფინანსო პოლიტიკის ბრუნდი, გადახლართული ხაზების მიმართულება უნდა უერთდებოდეს ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების მიმართულებას. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება ვაჭრობა-მრეწველობა მეტი სისწრაფით და უმტკივნეულოთ განვითარდეს და სახელმწიფოს ეკონომიური ორგანიზმი გაჯანსაღდეს.

საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის შესწავლა გაგვითვალისწინებს, რა ფინანსიური შესაძლებლობა და უნარი გვაქვს ჩვენ; ამ მდგომარეობის შესწავლა გამოააშკარავებს საქართველოს ეკონომიური განვითარების პირობებს და მოთხოვნილებებს.

მეცხვარეობას, მევენახეობას, მეთამბაქოეობას, მეაბრეშუმეობას, შავი ქვის მრეწველობას, ტყის მრეწველობას დ სხვ., საერთოდ რესპუბლიკის მეურნეობას თავისი წარსული და აწმყო აქვს, აქვს საკუთარი სიმდიდრე და მოხერხება და მის უნარიანობაზე უნდა აღორძინდეს და აშენდეს რესპუბლიკის საკრედიტო ორგანიზაცია.

უცხო ფინანსიური კაპიტალი, თუ ის რესპუბლიკის ფინანსიური აპარატის გარეშე და დამოუკიდებლათ მუშაობს, უსათუოდ სახელმწიფოს მეურნეობას დაასუსტებს, მას არ გააძლიერებს და წარმოებათა მოგებიდან მას ძლიერ ცოტას დაუტოვებს. ამიტომ როგორც რუსეთი კრედიტის საქმეს თავის მრეწველობის საშუალებებით აწყობს, ისე საქართველომაც თავისი საკრედიტო ორგანიზაციები თვითონვე საკუთარი ძალებით უნდა მოაწყოს და რესპუბლიკის ვაჭრობა-მრეწველობის მოთხოვნილებებს შეუფარდოს. ასეთი საკრედიტო დაწესებულება, შესისხლხორცებული ხალხის და სახელმწიფოს მეურნეობასთან, ადგილობრივ წრეებში ნდობით აღჭურვილი, ადგილობრივ ეკონომიურ და ფინანსიურ ძალებს უკეთ შემოკრებს; მათ უკეთ გამოიყენებს და ქვეყნის ეკონომიურად განვითარება-გაძლიერებას მეტ სამსახურს გაუწევს. უცხო კაპიტალი, რომელიც ორგანიულად, სახელმწიფოებრივათ და თავის კულტურული მიზნებით რესპუბლიკის მეურნეობასთან შეერთებული არაა, ასეთ როლს რესპუბლიკის მეურნეობაში ის ვერ ითამაშებს; ის ხშირად სავაჭროდაა შემოსული; მისი მიზანია რესპუბლიკიდან რაც შეიძლება მეტი ქონების გატანა. თუ ადგილობრივი საკრედიტო დაწესებულება არ არსებობს, დ უცხო საფინანსო კაპიტალს მეტოქე არა ყავს,—ის მაშინ რესპუბლიკის მეურნეობას გაცილებით უარესს პირობებს შეუქმნის.

მეზობელ-მეგობარ საბჭოთა რესპუბლიკებში არსად არაა ისეთი მდგომარეობა, რომ რომელიმე მათგანმა საგულისხმო დახმარება გაუწიოს საქართველოს. რუსეთის უდიდესი ბანკს „პრომბანკს“*) ძირითადი თანხა არ აღემატება ათ მილიონ მანეთს ოქროთი, რომელიც რუსეთის მრეწველობის ყველა დარგების თანხებიდან შეგროვდა. დღევანდელ პირობებში, როდესაც საქონელი და ფული ძალიან ნელა, ძლივს და ტრიალებს, მეტი ფულის ნიშნებია საჭირო, რომ ვაჭრობა-მრეწველობის მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქნეს. სწრაფი ტრიალის დროს ნაკლები ფულია საჭირო, ვინემ მაშინ, როდესაც საქონელი ნელა ტრიალებს. ასეთ პირობებში რუსეთის ბანკები ადგილობრივ ვაჭრობა-მრეწველობის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებენ, როგორც ამას ადასტურებს მოსკოვის ოფიციალური წყაროები: „Экон жизнь“, „Торг.-промышленная газ.“, „Социалистическое хозяйство“ და სხ. აშკარაა, ფინანსიურ დახმარებას ვერ ვსთხოვთ რუსეთს, რომელიც დღეს ეკონომიურად გაცილებით ჩვენზე მეტს გაჭირვებას განიცდის. ჩვენი ვაჭრობა-მრეწველობისათვის საჭირო კრედიტი ჩვენვე უნდა შევქმნათ. ნუ დავივიწყებთ შემდეგს: თუ რუსეთში ისეთი ბანკების დაარსება, რომელთა თანხების საერთო ჯამი რამოდენიმე მილიონ მანეთს არ აღემატება, დიდ [illegible] მაშინ ჩვენი ხალხის რაოდენობის და ტერიტორიის სივრცის მიხედვით ორიოდე მილიონი მანეთის ჩვენს ბანკებში დაგროვებას ჩვენს ვაჭრობა მრეწველობაზე მეტი გავლენა-მნიშვნელობა ექნება. სახელმწიფო ბანკის გარდა ყველა დანარჩენი ბანკების ბალანსი რუსეთში პირველ მაისში 3,83 მილიონ ჩერვონცებს ანუ დაახლოვებით 30—35 მილიონი ოქროს მანეთს არ აღემატებოდა; ამავე დროს, პირველ მაისში, თუ ჩერვონცების ღირებულებაზე ვიანგარიშებთ, ფულის ნიშნები და ბანკნოტები რუსეთში ტრიალებდა 160 მილიონი მან. ღირებულების, ანუ ოქროს ფულზე დაალოვებით 120 მილ. მან. ცხადია, რომ რუსეთში თანამედროვე პირობებში ამ თანხის მხოლოდ მცირე ნაწილი შეიძლება დაგროვდეს ბანკებში და ეს ნაწილი ასი მილიონზე ბევრათ ნაკლები იქნება.

ასეთია მდგომარეობა და ეს გარემოება გვავალებს და გვაიძულებს გამოვიჩინოთ მეტი ინიციატივა და უნარიანობა, რათა ჩვენი ეკონომიური პირობები მოვაწესრიგოთ და სილატაკეს თავი დავაღწიოთ.

მაგრამ, რა გავაკეთოთ, რა გვაქვს და შეგვიძლია თუ არა ჩვენი ძალღონით საკრედიტო ორგანო მოვაწყოთ?

ამ საკითხის შესახებ ჩვენ შემდეგ წერილში ვისაუბრებთ.

მეგობარი.

---

*) სახელმწიფო ბანკს არ ვიხსენიებ, რადგან მის მთავარ დანიშნულებას ვაჭრობა-მრეწველობისათვის კრედიტის მოწყობა არ შეადგენს. მისი დანიშნულება სახელმწიფოს ფინანსიური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარება და ფულის ნიშნების კურსის გამაგრება.

კომინტერნი და იტალიის სოციალისტური პარტია

ამხ. ზინოვიევის წერილი იტალიის სოციალისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

მოსკოვი. 8 ივლისი. იტალიის სოციალისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის მუქარასთან დაკავშირებით იმის შესახებ, რომ გამორიცხული იქნებიან პარტიიდან გამომცემლები პადჟენო და როსსი, რომელნიც კომინტერნის პლატფორმაზე სდგანან, ზინოვიევი, იტალიის სოციალისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტისათვის გაგზავნილ წერილში აღნიშნავს იმას, რომ იმ დროს, როდესაც პარტიაში მთელი წლობით რჩებიან რეფორმისტები და სოციალიზმის რენეგატები, როგორიც არიან ტარატტი და დ'არაგონი, სოციალისტურ პარტიის მეთაურებს, რომელნიც თავის თავს პარტიის შიგნით არსებულ დემოკრატიზმის მომხრეებათ აცხადებენ, უნდათ გამორიცხონ პარტიიდან მუშათა საქმისათვის და კომინტერნისათვის თავდადებული ამხანაგები. ზინოვიევი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ეს გამოიწვევს პარტიისადმი უნდობლობის გამოცხადებას მუშა-კომუნისტების მხრივ, ურჩევს არ განახორციელოს მუქარა გამორიცხვის შესახებ და შეიძლება მისცენ პარტიის წევრებს თავისუფლათ დაიცვან კომინტერნის პრინციპები.

საჰაერო ფლოტის კვირეულისათვის

(თეზისები მოხსენებისათვის)

1. საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავება. შეომარ იმპერიალიზმის პროვოკაციული პოლიტიკა. საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის სამხედრო ძლიერების განმტკიცების აუცილებლობა. ჩვენ უნდა „გადავამრავლოთ ენტუზიაზმი ხელოვნებაზე და რიცხვი ტეხნიკაზე“. (ტროცკი).

ავიაცია არის მთავარი იარაღი მომავალ ომში. მსოფლიოს სამხედრო ფლოტები. სამხედრო ავიაციის მიღწევანი.

2. სამხედრო ფლოტის ბაზაა—სამოქალაქო ფლოტი. ავიაცია და კულტურა.

3. ავიაცია და ტეხნიკა.

ავიაციის უკანასკნელი მიღწევანი. სპეციალურ საავიაციო ტეხნიკის აუცილებლობა ჩვენში. ლითონის თვითმფრინავების ტეხნიკა. ჰაეროპლანების მასიური დამზადება. ძლიერი თვითმფრინავების აშენების ტეხნიკა. მცირე ძალიანი თვითმფრინავები. უმოტორო ჰაეროპლანები. საავიაციო ტეხნიკის განვითარება საზღვარ-გარეთ. რეკორდები.

4. ჩვენი ამოცანები საჰაერო ფლოტის შექმნის დარგში.

თეზისების განვითარება.

მუხლი 1. მარშალი ფოში პოლონეთში და ინგლისის სამხედრო მისია რუმინიაში მთავარ ყურადღებას აქცევენ ავიაციის მდგომარეობას. ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში დიდძალი ფული იხარჯება სამხედრო საჰაერო ფლოტის შექმნაზე და სამოქალაქო ავიაციისათვის ხელის შეწყობაზე. (საფრანგეთი წელიწადში ხარჯავს 44,5 მილ. დოლარს: ამერიკა—32 მილ. დოლარს, 22 წელში ინგლისმა გადასდო კიდევ 66 მილ. დოლარი. იაპონიამ—18,5 მ. დ. და სხვა).

ავიაცია შეუდარებელი იარაღია შორეული დაზვერვისათვის და კავშირისათვის განსაკუთრებით ცხენოსან ჯართან კავშირის დასაჭერად მისი რეიდების დროს (მაგალითი გენ. მამონტოვის, ბუდიონის ცხენო- [illegible] მფრინავები—ზურგთან ურთიერთობისათვის, განსაკუთრებით სამოქალაქო ომის დროს. თვითმფრინავის იარაღია—ტყვისმფრქვეველი, ბომბა. მისი მოქმედება მიმართულია მოწინააღმდეგის კავშირის, შტაბის და სურსათის მიწოდებისაკენ. დაშენა— ინგლისის მფრინავთა მიერ ომის განმავლობაში ჩამოყრილი იქნა 400.000 ფ. ასაფეთქებელი ნივთიერება, გერმანელების მიერ 1 მილ. ფუთზე მეტი· თვითმფრინავების დესანტი. ინგლისის მფრინავთა მიერ აჯანყების ჩაქრობა მესოპოტამიასა და ჩრდილოეთ ინდოეთში. ამჟამად აშენებენ ჰაეროპლანებს 30 ტყვისმფრქვეველით ან 3 და 5 დუიმიან ზარბაზნებით. ყუმბარების გადამტანი ჰაეროპლანები იჭერითებიან 100 ფუთი ყუმბარით. ტორპედოპლანები. ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ყუმბარები.

მუხლი 2. სამოქალაქო საჰაერო ფლოტის გარეშე შეუძლებელია სამხედრო ფლოტის შექმნა, რადგან სამხედრო უწყებას არ აქვს საშუალება შეინახოს და განიარაღოს მშვიდობიანობის დროს სამხედრო ფლოტი. კონსტრუქციის გაუმჯობესება, მფრინავთა კადრის შედგენა და საავიაციო კულტურის პროგრესი საფუძვლად უნდა დაედოს სამოქალაქო დანიშნულების მუდმივ საჰაერო ფლოტის მოწყობას.

სამეურნეო მოსაზრებანი მოითხოვს ისეთ საჰაერო ფლოტის შექმნას, რომელიც და ფარავს თავის ხარჯებს მშვიდობიან დროს და, რომელსაც შეეძლება გახდეს ქვეყნის თავდაცვის ძლიერ იარაღათ ომის გამოცხადების შემდეგ.

ავიაცია არის საუკეთესო საშუალება ადამიანის მიერ სივრცის გადალახვის საქმეში. ავიაცია არის ტრანსპორტი და საჭირო კავშირი მრეწველობისათვის. ყოველგვარი სასწრაფო მოგზაურობანი და სავაჭრო ურთიერთობანი.

ადმინისტრატიული ზედამხედველობა გუბერნიაზე. მუშაობის თვალყურის დევნება ტყის სამრეწველოებში. ტყეების ცეცხლის გაჩენისაგან დაცვა და ცეცხლის გაჩენის აღმოჩენა. ზღვებში და მდინარეებში თევზის მსვლელობის დანახვა. ელექტრონის რაიონებში დიდი მაგისტრალე- [illegible] ლობა.

საჰაერო ფოსტა. ადამიანების სწრაფი მიმოსვლა შორეულ მანძილზე.

ამერიკაში გადატანილია 2 წლის განმავლობაში 50 მილიონი საფოსტო ამანათი.

სასოფლო მეურნეობაში კლიმატიურ პირობების ატმოსფერულ მოვლენების გამოსარკვევად და ამინდის წინდაწინ გამოსაცნობათ. საჰაერო მიმოსვლა არის ერთად ერთი საშუალება ატმოსფერის უმაღლეს ფენების შესასწავლად. ფრიად მნიშვნელოვანია მავნებებთან ბრძოლა. მიწად-მოწყობასა და საერთოდ საჰაერო ფოტოგრაფიულ სურათების გადაღებაში შეუძლია ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი.

საზღვაო მიმოსვლაში ავიაცია საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნას ფარვატერები, აღმოჩენილ იქნას წყალ-ქვეშა ქვები და სხვა.

მედიცინაში—ადამიანის ორგანიზმზე უმდაბლეს ატმოსფერულ მოვლენათა ფიზიოლოგიურ მოქმედების შესასწავლად. საჰაერო სპორტში—სისწრაფის გადიდება და ადამიანის ჰაერში მოძრაობის გაუმჯობესება.

აგიტაციაში—საჭირო პირთა მივარდნილ უგზო ადგილებში გადაყვანა და „ფურცლების“ გავრცელება.

გეოგრაფიაში—თანამედროვე მანქანების მოძრაობის სისწრაფე და ხანგრძლივობა საშუალებას გვაძლევს სამსახური გაუწიოთ პოლიუსებს, აღმოვაჩინოთ ახალი მიწები, იმ ექსპედიციების ნაცვლად, რომელნიც იღუპებოდენ ყინულიან ოკეანეებში.

მუხლი 3. ტეხნიკის წყალობით ავიაციამ უდიდეს შედეგებს მიაღწია.

სპეციალურ ლითონების დამუშავება, როგორც დიურალუმინის (გერმანია) და კოლჩუტ-ალიუმინის (რუსეთი) საშუალებას გვაძლევს ავაშენოთ ჰაეროპლანები მთლიანად ლითონისაგან და არ ვიხმაროთ არც ხე და არც ტილო, აქედან განვითარდა მასიური „შტამპის“ წარმოება.

ჰაერო-დინამიურ თვისებათა ზედმიწევნით შესწავლამ საშუალება მისცა ტეხნიკას აეშენებია მინიატიურული თვითმფრინავები ე. წ. საჰაერო მოტოციკლეტები.

ტეხნიკის მიერ ატმოსფერულ მოვლენათა შესწავლამ საშუალება მოგვცა, ჰაერის ზემავალ ფენების შე- [illegible] ჰაეროპლან-პლანერებით.

საავიაციო ტეხნიკა იმდენად თავისებურია, რომ საჰაერო ფლოტის შესაქმნელად, საჭიროა სპეციალური საავიაციო კულტურა. საჭიროა მეცნიერთა, ინჟინრების, კონსტრუქტორების, მფრინავების, მოტორისტების, კადრის შედგენა და მასალების დამუშავების სპეციალურ საშუალებათა და მრეწველობის განსაკუთრებული დარგის შექმნა.

საავიაციო ტეხნიკის განვითარება საშუალებას აძლევს ამერიკის და ევროპის ქვეყნებს ათეული ათასობით იქონიონ მფრინავი მანქანები.

საავიაციო ტეხნიკამ საშუალება მისცა ადამიანს მიეღწია შემდეგი რეკორდებისათვის: თვითმფრინავის ტვირთის აწევის უნარი უდრის 16.750 კილოგრამს.

მოძრაობის სისწრაფე 300 კილომეტრი საათში.

გადაფრენის მანძილი მიწაზე დაუშვებლად—3,340 კილომეტრი. მიწაზე დაშვებით—18 200 კილომეტრი.

მგზავრთა რიცხვი—120 კაცი.

მოტორის ძალა 6.000 HP.

ფრენის სიმაღლე—12450 მეტრი.

მუხლი 4. ჩვენი ავიაცია არსებობდა ძველი საჰაერო სამხედრო ფლოტის ნაშთების ხარჯზე. თვითმფრინავთა დამზადება ჩვენში უმნიშვნელოა. დამოკიდებულება საზღვარგარეთთან.

ჩვენი მიღწევანი:—სამხედრო საჰაერო ფლოტის აკადემია, საზაფხულო შკოლები, ცენტრალური საჰაერო—ჰიდრო-დინამიური ინსტიტუტი; კოლჩუტ-ალიუმინი, ლითონის მფრინავთა აშენების ცდა.

ჩვენი საჰაერო. გზები: პეტროგრადი—მოსკოვი—ტფილისი, მოსკოვი—ნიჟნი, ჰენისბერგი—მოსკოვი, ავიოსპორტი, პლანერიზმის წრეები. სამოქალაქო ავიაციის საქმეთა საბჭო, „მოხალისე ფლოტი“, „საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოება“, „საჭიროა სულ მცირე მახლობელ წელს ქვეყნის მთავარი ყურადღება მივაპყროთ ავიაციას“ (ტროცკი). საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების პროგრამა უნდა იქნეს შემუშავებული საჰაერო ფლოტის მთავარ სამმართველოსთან მჭიდრო კონტაქტში.

1. საბჭოთა ავიომრეწველობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა.
2. ცენტრალურ საჰაერო ჰიდროგამოკვლევათათვის ხელის შეწყობა.
3. ავიოსპორტის და ფრენის შკოლების განვითარება.
4. ახალ საჰაერო გზების დაარსება.

რუს. კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის სააგიტ-საპროპაგ. განყოფილება.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტას“ ცნობები)

რუსეთის ცნობის გარშემო

კოპენჰაგენი. 7 ივლისი. **დანიაში დიდ ინტერესს იჩენენ მოსკოვის გამოფენისადმი. ქარხნების კავშირმა ერთხმად დაადგინა მონაწილეობა მიიღოს გამოფენაში. დანიაში მუშაობს რუსეთთან ეკონომიურ და კულტურულ დაახლოვების განსაკუთრებული კომისია კომუნისტ მწერალის ნექსეს თავმჯდომარეობით.**

მოხსენება რუსეთის კულტურული ცხოვრების შესახებ.

პარიზი. 7 ივლისი. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა კომიტეტის მიერ მოწყობილ კრებაზე, კოლლეჟდე ფრანსის პროფ. ლევი და საფრანგეთის წითელი ჯვრის ყოფილი წარმომადგენელი მოსკოვში დელეგრანჟი მოხსენებით გამოვიდენ რუსეთის ინტელექტუალურ ცხოვრებისა და ეკონომიურ და სოციალურ მდგომარეობის შესახებ. ორივე ორატორმა დასასრულ აღნიშნა საფრანგეთ რუსეთის ურთიერთობის დაუყოვნებლივი აღდგენის აუცილებლობა. მაკლაკოვი, რომელმაც წარსულ კრებაზე გაილაშქრა ერრიოს მოხსენების თეზისების წინააღმდეგ, ამ კრებაზე სდუმდა.

მოითხოვენ რუსეთის ცნობას.

პრაგა. 8 ივლისი. **ჩეხ ლეგიონერების კონფერენციაზე სოციალისტ ლეგიონერების წარმომადგენლებმა გამოიტანეს რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვენ საბჭოთა რუსეთის ცნობას.**

მორავიის მრეწველობის ორგანო სწერს: „ჩეხო-სლოვაკეთის საგარეო პოლიტიკა უნდა სწარმოებდეს ქვეყნის ეკონომიური ინტერესების მიხედვით. **რუსეთთან და შორეულ აღმოსავლეთთან ჩვენ უნდა დავამყაროთ კეთილმეზობლური განწყობილება“.**

უკრაინელ თეთრგვარდიელთა მისიის ლიკვიდაცია.

პრაგა. უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენლობამ მიმართა ჩეხო-სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრს დაბეჯითებითი თხოვნით გაეუქმებია პრაგაში არსებული „უკრაინის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო მისია“.

ჩეხო-სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აცნობა უ. ს. ს. რ. წარმომადგენლობას, რომ მან აუკრძალა „საგანგებო მისიას“ ყოველგვარი მოღვაწეობა.

რიგის კონფერენციის წინ

პოლონეთის აზრი

ვარშავა. 7 ივლისი. მომავალ კონფერენციის გამო, რომელიც რიგაში გაიმართება, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სეიდამ, საუბარის დროს განაცხადა ბალტიის მხარეში წარმოებულ პოლიტიკის შესახებ: მას მერე, რაც პოლონეთის აღმოსავლეთი საზღვარი აღიარებულია და ელჩთა თათბირმაც საბოლოოდ გამოარკვია პოლონეთ-ლიტვის საზღვრები, **ვილნოს ბედიც სამუდამოდ გადაწყვეტილია.** ეს გარემოება თვალსაჩინოდ აადვილებს როგორც პოლონეთის პოლიტიკის წარმოებას ბალტიის მხარეში, ისე ფინეთისა, ლატვიისა და ესტონეთის პოლიტიკურ გეზსაც. **პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობა ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია.**

ამ ნახევარი წლის განმავლობაში ლატვია თავისი თავისათვის მავნებელ პოლიტიკას აწარმოებდა პოლონეთისა და ელჩთა თათბირის დადგენილებათა გამო, რადგანაც მისი ასეთი განწყობილება ეწინააღმდეგებოდა ბალტიის მხრის სახელმწიფოთა ინტერესებს და ლატვიას ყველასაგან სთიშავდა. რიგის კონფერენციაზე შინად გვაქვს ნიადაგი მოვუმზადოთ განიარაღების საკითხს და განვიხილოთ ეკონომიური საკითხებიც.

მოსალოდნელია აგრეთვე ორივე მხარეთა შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადება, რომლის პრინციპებზედაც თათბირი მოხდება რიგაში.

კოვნო. 7 ივლისი. რიგის კონფერენციის შესახებ, საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციოზი სწერს: „სერიოზულად არ შეიძლება მოვეკიდოთ რიგის კონფერენციაზე ლიტვის მიწვევას, სადაც პოლონეთის წარმომადგენლად იქნება პოლონეთის უკიდურესი იმპერიალისტი სეიდი. პოლონეთი სცდილობს მოაჩვენოს დიდ სახელმწიფოებს, ვითომც ლიტვა შეურიგდა ვილნოს დაკარგვას. მაგრამ ლიტვა ვილნოს არასოდეს ნებაყოფლობით არ დაუთმობს პოლონეთს.

რუსეთი და ავსტრია

ავსტრიას რუსეთის პურის იმედი აქვს.

რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ვენაში ამხ. ლევიცკიმ ინახულა ვენის ბურგომისტრი სოციალ-დემოკრატი რეიმანი. რეიმანმა ვენის მცხოვრებთა სახელით კმაყოფილება გამოსთქვა, რომ რუსეთ-ავსტრიის დაახლოვების საქმე წარმატებით მიმდინარეობს. **რაიმანმა აღნიშნა, რომ ავსტრიის მოსახლეობას იმედი აქვს, რომ რუსეთის პურით და ნედლი მასალით გაიუმჯობესებს თავის მდგომარეობას.**

ლოზანას კონფერენცია

დაწვრილებითი ცნობები შეთანხმების შესახებ.

ლონდონი. 10 ივლისი. ლონდონში მიღებულია დაწვრილებითი ცნობები ლოზანაში მიღწეული შეთანხმების შესახებ. გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია შემდეგი: ოსმალეთის და მოკავშირეების დელეგატების მთელ რიგ სხდომების შემდეგ 8 ივლისს გამოცხადებულ იქნა, რომ კონფერენციამ მშვიდობიანი გზით მიაღწია შეთანხმებას; მოლაპარაკება, რომელიც 8 თვეს გრძელდებოდა, დამთავრდა. უკანასკნელ ხანებში გადაუჭრელი იყო სამი საკითხი: ოსმალეთის ვალი, ე. წ. „დეტტ პუბლიკ“, ომის წინ გაცემულ კონცესიების და ოსმალეთის ტერიტორიიდან მოკავშირეების ჯარების გაყვანის შესახებ. პირველ ორ საკითხში ოსმალეთის დელეგაცია არაჩვეულებრივ შეურიგებლობას იჩენდა, რითაც დიდი ზარალი ეძლეოდა მოკავშირეების, განსაკუთრებით კი ფრანგ ვაჭრებისა და მრეწველების ინტერესებს. ამ ორ საკითხში შეუთანხმებლობის გამო, ვერ იქნა გადაჭრილი მესამე საკითხიც—ოსმალეთის ტერიტორიიდან მოკავშირეების ჯარების გაყვანის შესახებ. მოკავშირეებში სრული თანხმობა და ერთსულოვნება სუფევდა ყველა საკითხებში. **განსაკუთრებით დიდ ენერგიას იჩენდა იტალიის დელეგაცია,** რომელიც ყოველნაირად ცდილობდა აეცილებია მოსალოდნელი კონფლიქტი.

ევაკუაცია.

პარიზი. 10 ივლისი. ოსმალეთის ტერიტორიიდან მოკავშირეთა ჯარების გაყვანის პროექტი დაახლოვებით გამომუშავებულია: **ევაკუაცია დაიწყება დაუყოვნებლივ როგორც კი ოსმალეთის დიდი ნაციონალური კრება ხელშეკრულებას დაამტკიცებს. ევაკუაცია უნდა დასრულდეს 6 თვის განმავლობაში.**

საბჭოთა მთავრობა და საზავო ხელშეკრულება.

პარიზი. 10 ივლისი. საფრანგეთის დელეგატმა გენერალმა პელლემ განაცხადა, რომ საზავო ხელშეკრულების დამტკიცება დაიგვიანებს ერთი თვით, **რადგან კონფერენცია უცდის პასუხს საბჭოთა მთავრობისაგან სრუტეების შესახებ კონვენციაზე ხელის მოსაწერათ მიპატიჟებაზე.**

მდგომარეობა ბულგარეთში

კომპანია აგრარული პარტიის წევრების წინააღმდეგ.

ვენა. 8 ბულგარეთის მთავრობის კომპანია აგრარული პარტიის წევრებისა და აგრეთვე კომუნისტების წინააღმდეგ გრძელდება: სოფიაში დახურეს მუშების დასასვენებელი კომუნისტური სახლი და აგრეთვე გლეხთა კოოპერატივების ბანკი.

მთავრობა, სოციალ-დემოკრატების და რუსეთის კონტრ-რევოლიუციონერების დახმარებით, წინააღმდეგობას უწევს კომუნისტების მისწრაფებას მოაწყონ დაახლოვება მუშებსა და გლეხებს შორის, სოციალ-დემოკრატები, კომუნისტების საწინააღმდეგოთ მუშაობას იწყებენ გლეხებს შორისაც.

ახალი კანონი შრომის შესახებ.

ვენა. 8 ივლისი. ბულგარეთის მთავრობამ გამოაქვეყნა ახალი კანონი შრომის შესახებ, რომლის მიხედვითაც **წვრილ სახელოსნო წარმოებებში ნებადართულია 10 საათის სამუშაო დღის დაწესება.**

გლეხების მოძრაობა.

ვენა. 8 ივლისი. რუმინეთის გაზეთები იტყობინებიან გლეხების ახალ მოძრაობის შესახებ სამხრეთ ბულგარეთში; მოძრაობა მიმართულია ახალი რეჟიმის წინააღმდეგ 25.000 შეიარაღებულმა გლეხებმა ალყა შემოარტყეს ჩირპანს და ზაგრანს. ახალი მთავრობის ძალებით წესრიგი აღდგენილია.

სხვადასხვა ამბები

გერმანია.

კომუნისტური პარტიის კანონპროექტი

ბერლინი. 7 ივლისი. რეიხსტაგის კომუნისტურმა ფრაქციამ წარადგინა დაწვრილებით შემუშავებული კანონპროექტი, რომლის ძალითაც მთავრობას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ყველა მსხვილ წარმოებაში 51 პროც. ამა თუ იმ წარმოების დარგის ყველა სამრეწველონი იმ უფლებით ირთიანდება სინდიკატებად, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს სახელმწიფოც. საქარხნო კომიტეტებს უფლება ეძლევათ კონტროლი გაუწიონ საგარეო ვაჭრობას.

იტალია.

ფიუმეს საკითხი.

რომი, 8 ივლისი, იტალიის მთავრობამ მიმართა სამხრეთ-სლავიას ნოტით დაუთმოს იტალიას ფიუმეს დელტა. ბილგრადის გაზეთი „ობსერვერ" აღნიშნავს, რომ თუ იტალიის მოთხოვნილება დაკმაყოფილებული არ იქნა, იტალია ძალით დაიჭერს ფიუმეს, რასაც ომი მოჰყვებაო.

ავსტრია.

ტერორისტები.

ვენა, 8 ივლისი. გამოძიებამ, ნაციონალისტური პარტიის წევრის მოკვლის შესახებ, გამოარკვია, რომ მკვლელობა ჩაიდინა მოკლულის ამხანაგმა, რომელსაც ეჭვი შეეპარა მოკლულის სიერთგულეში პარტიისადმი. გამოირკვა, რომ არსებობს რამდენიმე ტერორისტული ორგანიზაცია, რომელთაც განზრახული აქვთ ავსტრიის ზოგიერთ პროლეტარულ და პოლიტიკურ მოღვაწეების მოკვლა. აღმოაჩინეს სამხედრო მასალების და საწამლავის საწყობები. როგორც გაზეთები იუწყებიან, ამ ტერორისტულ ორგანიზაციის განზრახული ჰქონდა ფოშის მოკვლა მისი რუმინეთში მგზავრობის დროს. დატუსაღებულია 35 კაცი.

ბირჟავიკებს ერიდებიან.

ვენა, 8 ივლისი. ფინანსიურმა კომისიამ უარყო საბირჟო შემოსავალზე გადასახადების დაწესების პროექტის განხილვა, რის გამოც ვენის ბანკების საბირჟო და სპეკულიაციისგან შემოსავალი, რომლის რაოდენობა 15 მილიარდ კრონს აღემატება, დაუბეგრავი რჩება.

ამერიკა.

ფერმერების მუშათა პარტიის ყრილობა.

ჩიკაგო. 8 ივლისი. ჩიკაგოში გაიხსნა ფერმერების მუშათა პარტიის კონგრესი. პარტიის მდივანმა მიზნათ ისახავს მოაწყოს ყრილობაზე წარმოდგენილი ყველა ორგანიზაციების ფედერაცია.

ნიუ-იორკი. 8 ივლისი. ფერმერების მუშათა პარტიის ყრილობაზე უმრავლესობა ეკუთვნის „ფერმერ პარტის" დელეგატებს. მემარჯვენე ჯგუფებმა, რომლებიც სასტიკ ოპოზიციაში არიან უმრავლესობისადმი, ულტიმატიურად მოითხოვეს მათი პროგრამის მიღება. „ფერმერ პარტის" მდივანმა რუტენბერგმა განაცხადა, რომ თუმცა მემარჯვენეების პროგრამა მეტად ზომიერია, მაგრამ მთლიანობის დასაცავად ის მზად არის მიიღოს მემარჯვენეების წინადადება. პროგრამა შეიცავს შემდეგ მუხლებს: ყველა საზოგადოებრივ-სასარგებლო და სატრანსპორტო დაწესებულებების ნაციონალიზაცია, მუშათა კონტროლი მრეწველობაზე, 8 საათის სამუშაო დღე, კანონი მცირე წლოვანთა შორის შესახებ, საცხოვრებელი მინიმუმი.

„განიარაღება".

რომი. 10 ივლ. ამერიკის მთავრობას განზრახვა აქვს სთხოვოს კონგრესს დამატებითი კრედიტები სამხედრო საჰაერო ფლოტის გაძლიერებლათ, ვინაიდან ინგლისი და საფრანგეთი აძლიერებს თავის საჰაერო სამხედრო ფლოტს.

ბერლინი. 10 ივლისი. ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ საზღვაო პროგრამის შესრულების შემდეგ ამერიკის სამხედრო ფლოტს შეემატება 18 დრედნოუტი, 14 ჯავშნიანი კრეისერი და 84 წყალქვეშა ნავი.

იარაღდებიან.

ვენა. 8 ივლისი. სამხრეთ-სლავიის მთავრობამ მიიღო საფრანგეთის მთავრობისგან ოფიციალური ცნობა სამხრეთ-სლავიისათვის ფრანგ გენერალ ლერონის ინსტრუქციების მიხედვით სამხედრო იარაღის შესაძენათ, სესხათ 300 მილიონი ფრანკის მიცემის შესახებ.

უნგრეთი.

კომუნისტების დევნა.

ვენა. 8 ივლისი. უნგრეთის პოლიცია იუწყება, რომ მან ბუდაპეშტში აღმოაჩინა კომუნისტური ორგანიზაცია, რომელსაც ქონდა თავისი განყოფილებები სახელმწიფოს სხვა და სხვა კუთხეებში. დაატუსაღეს მრავალი მუშა, უმთავრესად ლითონზე მომუშავეები, რომელთაც პოლიცია აბრალებს პროფკავშირების სოციალ-დემოკრატ ბელადების კომუნისტებით შეცვლის სურვილს. როგორც სჩანს სოციალ-დემოკრატები პოლიციასაც კი იხმარებენ, რომ მუშებში კომუნისტების გავლენა შეასუსტონ.

გერმანია.

ფაშისტების მიტინგი.

ბერლინი. 8 ივლისი. ბრაუნშვეიგ- [illegible] მელზედაც ერთმა ფაშისტმა განაცხადა, რომ ახლო ხანში ფაშისტები მოაწყობენ ბართლომეს ღამე; ამისათვის საკმაო იარაღი გვაქვსო.

სოციალ-დემოკრატებმა უარყვეს კომუნისტების წინადადება პროლეტარული თავდაცვის რაზმის მოწყობის შესახებ.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სამხედრო სასწავლებლები.

მოსკოვი. 8 ივლისი. სახალხო კომისართა საბჭოს კომისიამ საბოლოოდ გამოარკვია სამხედრო სასწავლებელთა ქსელი, რომელიც 100-დე სასწავლებელს შეიცავს. ამ სასწავლებლების შესანახათ სესხი გაიცემა სახელმწიფო გეგმითი მუშაობის სამმართველოს დასტურით საადმინისტრაციო სამეურნეო ხარჯების გასასტუმრებლად.

ხოლერა.

დონის-როსტოვი. 7 ივლისი. 4 შემთხვევა იყო ხოლერისა, 5 შემთხვევა იყო ხოლერის მინაგვარი.

კოოპერაცია.

კუზნეცკი. 7 ივლისი. კუზნეცკის კოოპერაცია დიდს ბრძოლას აწარმოებს კერძო ბაზართან. კოოპერატივების რიცხვი მატულობს. პროფესიონალურ კავშირთა ყველა წევრები კოოპერაციებში არიან ჩაწერილნი.

ხორბლეულობის დამზადება.

დონის-როსტოვი. 7 ივლისი. დასრულდა სამხრეთ-აღმოსავლეთის თათბირი პურეულობის შესახებ. შემუშავებულ გეგმით უნდა დაამზადონ 16 ნახევარი მილიონი ფუთი ხორბალი.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა.

პირნახულის მოსავალი.

ბათომი. 8 ივლისი. აჭარისტანის სასტატისტიკო ცენტრალური ბიუროს ცნობებით, პირნახულის მოსავალი 5 ბალიანი სისტემით შემდეგს ციფრებში გამოიხატა: ხულოს მაზრაში - ჩვანის თემი — სიმინდი 3, ანეულის ხორბალი — 2, ქერი — 2. დიდაჭარის თემში — სიმინდი — 3, ანეულის ხორბალი — 2, ქერი 2; საშუალოდ მაზრისათვის: სიმინდი 3,6, ანეულის ხორბალი — 2,0 ქერი — 2,0. ქედის მაზრა: ქედის თემში — სიმინდი — 3, ანეულის ხორბალი — 2, ქერი — 2. ცხმორის თემი: სიმინდი — 3, ანეულის ხორბალი — 3, ქერი — 3. ფერისის თემი: სიმინდი — 3, ანეულის ხორბალი — 2, ქერი 2. საშუალო მოსავალი მაზრაში: სიმინდი 2,7, ანეულის ხორბალი — 2, ქერი — 2,3. ქობულეთის მაზრა: კინტრიშის თემი: სიმინდი — 3. ანეულის ხორბალი — 3. ქობულეთის თემი; სიმინდი — 3, ანეულის ხორბალი — 3. ჩაქვის თემი: სიმინდი — 2, ბრინჯი — 2. საშუალო მოსავალი მაზრაში: სიმინდი — 2,7, ანეულის ხორბალი — 3. ქერი — 3, ბრინჯი — 2,7. ბათომის მაზრა. აჭარის — ალმავის თემი: სიმინდი — 3, ანეულის ხორბალი — 3, ქერი — 3. დოლოღანის თემი: სიმინდი — 3, ანეულის ხორბალი — 3, ქერი — 3. კახაბერის თემი: სიმინდი, ანეულის ხორბალი, ქერი და ბრინჯი — 3. საშუალო მოსავალი მაზრაში: სიმინდი — 2,5, ანეულის ხორბალი, ქერი და ბრინჯი — 3.

მთელს აჭარაში საშუალო მოსავალი ასეთია: სიმინდი — 2,9, ანეულის ხორბალი — 2,6, ქერი — 2,6, ბრინჯი — 2,6.

სომხეთი

კოოპერაციის დღე.

ერევანი. 6 ივლისი. კოოპერაციის საერთაშორისო დღეს, გაზ. „ხორურდან აიასტან"-ის ნომერი დიდი ზომისა და დასურათებული გამოვიდა. ქალაქს სადღესასწაულო ელფერი ედო. სომხეთის კოოპერაციათა და სხვა საკოოპერაციო დაწესებულებათა დუქნები მორთულია. კოოპერაციაში ახალ წევრთა ჩაწერა სწარმოებს. დღესასწაულის გამო მუშათა კოოპერატივი მთელს მოსახლეობაზე დაკლებული ფასებით ჰყიდის საქონელს. საღამოთი მოეწყო მიტინგები, წარმოდგენები. მოსახლეობა დიდის ხალისით მოეკიდა ამ დღესასწაულს.

ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა მეოთხე ყრილობა

მეოთხე სხდომა.

მეოთხე სხდომაზე იყო კამათი რ. გ. კავშირის მოქმედების შესახებ და შემდეგ მოსმენილ იქნა აქვე რკინისგზების სამმართველოს თავმჯდომარის ამხ. პოზდეევის მოხსენება.

რ. გზის სამმართველოს მოქმედება

ა. კავკასიის რკინის გზა დიდ ხარჯებს მოითხოვს.

დღემდე აღდგენილია 28 ხიდი, რომლის საერთო სიგრძე — 577 საჟენია. დარჩა ხიდების უმნიშვნელო რაოდენობა. სამუშაო ამ მხრივ 95 პრც. შესრულებულია. რამდენიმე ათეული წლის წინად აგებული ხიდები, რომელიც იმ დროინდელ ტეხნიკასთან არის შეფარდებული, დღეს მოძველებულია და ვერ უძლებენ ახალი ლოკომოტივების სიმძიმეს, [illegible] ლების მოძრაობა შეჩერებულია. ძველი ხიდების სათანადო შეკეთება 1 მილიონ ოქროს მოითხოვს.

სამმართველოს ყურადღება ექცევა აგრეთვე უღელტეხილებს, რომელთა მრუდი გზების შეკეთება სამმართველომ უკვე დაიწყო. მომავალში უღელტეხილის რ. | გზების ელექტროფიკაცია უნდა მოხდეს და გამოყენებულ უნდა იქნეს იქაური ჰიდრო-ელექტრონული სადგურები.

ორთქლმავალი მანქანები და ვაგონები.

ა. | კ. რკინის გზა სხვა და სხვა გვარობის გამო, საჭიროებს ორთქმავლების სხვა და სხვაგვარობას. მათი გადაკეთება დიდ ხარჯს მოითხოვს. მუშები შეკეთებას ვერ ასწრობენ. 9 ორთქმავლების გარდა, ყველა შეკეთებას საჭიროებდა და საჭიროებს. ორთქმავალის რაოდენობა გაიზარდა ომის წინა დროსთან შედარებით, მაგრამ სალმანქანის რიცხვი შემცირდა და დაზიანებულთა რაოდენობამ 37 პროც. მიაღწია. ნაკლებ დაზიანდა ვაგონები. უვარგისი ვაგონების რაოდენობა აღწევს მხოლოდ 10 პროცენტს.

სათბობი მასალა ორთქლმავლების დაზიანების გამო, უფრო მეტი იხარჯება. თხელი სათბობის ეკონომიის მიზნით, გადაწყვეტილია ტყვიბულის ქვანახშირის გამოყენება ამ კავკასიის დასავლეთ ნაწილის რკინისგზებისთვის.

მატარებლების მოძრაობის რაოდენობა დღე-ღამეში მშვიდობიანობის დროის ნორმამდე ავიდა. ამ ჟამად მუშაობს 8,980 ვაგონი. გასული წლის ოქტომბრიდან ამოძრავდა 2240 ვაგონი.

ნავთის სადენი მილები სალ მდგომარეობაშია, მაგრამ უკანასკნელ ხანებში ნავთის დენის შეჩერების გამო, არ უმუშავია.

რკინისგზის შემოსავალი

შარშანდელთან შედარებით ტვირთ ზიდვამ 40 პროც. იკლო. მიზეზი არის ბათომის პორტის მუშაობის შემცირება და აგრეთვე ის გარემოებაც, რომ რუსეთიდან მომავალი საქონელი უმთავრესად ჩერდება ბაქოში და ნაწილობრივად აღწევენ ტფილისს. ამიტომ შემოსავალი მცირეა და დეფიციტს აქვს ადგილი. შემოსავალს ამცირებს აგრეთვე გადაზიდვა ნისიათ.

ბინის საკითხი და შრომის ხელფასი.

ბინის საკითხი მეტად მწვავედ სდგას, განსაკუთრებით ცენტრებში. ბაქოსა და ტფილისში სამმართველოს ძალიან ძვირად უჯდება რაიმე საქმის მოწესრიგება. უკვე აღებულია იჯარით სახლები ბაქოში, განზრახული სახლების დაქირავება ტფილისსა და ბათომში, ა | კ. სახ. კომ. საბჭო ამ ჟამად იხილავს ბათომის მუშათა უბნის გაშენების საკითხს.

მწვავე ფინანსიურმა მდგომარეობამ გაართულა ხელფასის საკითხი. ა. წ. აპრილში, მაგალ. ხელფასის საერთო ჯამს ბევრად წინ გაუსწრო რკ. გზის შემოსავალმა, რის გამო სამმართველო ხელფასის გასტუმრების მიზნით, იძულებული შეიქნა სავალიუტო ფონდს შეხებოდა. ამ ჟამად რკ. გზის 1.500 მილ. მ. შემოსავლიდან ხელფასის გასასტუმრებლად იხარჯება 1,014 მილიარდი ასე რომ ხელფასის გადანარჩენი თანხა რ. გზის საექსპლოატაციოთ არ კმარა ა. კ. სახ. კომ. საბჭომ დაამტკიცა ა. კ. რკ. გზების ხარჯთ აღრიცხვა 500 მილიარდ მანეთის დეფიციტით.

ეს დეფიციტი უმთავრესი მიზეზია, რომ ხელფასის თავის დროზე მიღება არ ხერხდება და არ სრულდება კოლექტ. ხელშეკრულება.

კამათი.

ამხ. პოზდეევის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რეზოლიუციის შედგენა მიენდო ყრილობის პრეზიდიუმს.

მეხუთე სხდომა.

თავმჯდომარეობს ამხ. ჩხეიძე.

საღამოს სხდომაზე გრძელდება დილით შეწყვეტილი კამათი, კავშირის მოქმედების შესახებ. საბოლოო საპასუხო სიტყვას ამბობს ამხ ლეჟავა.

ყრილობამ რეზოლიუციის შედგენა, კავშირის მოქმედებისა და სარევიზიო კომისიის მოხსენების შესახებ, პრეზიდიუმს მიანდო.

მეექვსე სხდომა.

მეექვსე სხდომაზე, 8 ივლისს, ა. | კ მომხმარებელ საზოგადოების მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ამბროკეიმ.

ა. | კ. მომხ. საზოგად. მოქმედება.

ამ ჟამად საზოგადოებას აქვს ა. | კ. რკინის გზის ხაზზე 110 დაწესებულება. აქედან 11 კანტორაა, 32 მაღაზია, 20 საწყობი, 17 მოძრავი დუქანი, 11 პურის საცხობი. შემოსავალ-გასავალი 1 თებერვლიდან მაისამდე უდრიდა 288 507 მილიონ მანეთს. საზოგადოებას აქვს სასოფლო მეურნეობანი ნავთლუღსა, გუმბრსა და განჯაში — საკონსერვო-საძეხვო, ყველის საკეთებელი და ზეთის სახდელი ქარხნები. შემდეგ, მომხსენებელი დეტალურად ეხება საზოგადოების რ. | გზის პურით, ფქვილით, მოწოდების საქმეში, საზოგადოების მიერ სასურსათო ფონდის განაწილებას მოძრავ მაღაზიების და ა. | კ. მომხ. საზ. სამრეწველო დაწესებულებაც მუშაობს.

მოხსენების შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, პრეზიდიუმს დაევალა რეზოლიუციის შედგენა. შემდეგ მოხსენებას შრომის ინსპექციის მოქმედების შესახებ კითხულობს ამხ. როხლინი.

რკინის-გზის შრომის ინსპექციის მოქმედება.

მოხსენების მიხედვით გამოირკვა, რომ ინსპექციას უმუშავნია ნაყოფიერად. საანგარიშო წლის განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესებდა შრომის პირობები, მუშათა უფლებრივი მხარე, ხელფასის მიცემის საქმე, მუშების დაკმაყოფილება ზედმეტ მუშაობისათვის.

განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა ინსპექცია მუშათა სოციალურ დაზღვევას, მუშაობას ყოველ დარგში შრომის ინსპექციამ მიაღწია ნაყოფიერ შედეგებს, რომელითაც მუშათა მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესა.

მეშვიდე სხდომა.

მეშვიდე სხდომაზე ყრილობამ მოისმინა მორიგი მოხსენება რ. | გზის დამზღვევ კასაზე.

დამზღვევი კასები.

მთელ ხაზზე არსებობს 7 სარაიონო კასსა; რომელთაც აღრიცხული ჰყავს 28,474 წევრი. გაღებულა სხვა და სხვა გვარის დახმარება; რომელიც ეძლეოდა მშობიარეთ, მიცვალებულთა დასამარხად, უმუშევართ და შრომის უნარ დაკარგულთ. დიდი მუშაობა სწარმოებდა რკინისგზელთა ქვრივ ოჯახების და ინვალიდების პენსიის დასანიშნავათ.

მოხსენების შემდეგ ამხ. ლეჟავა ჰკითხულობს პრეზიდიუმის მიერ შემუშავებულ მისალმებათა ტექსტს ამხ. ლენინის, წითელ პროფინტერნის, რკპ ცკის ა. | კ. კომიტეტის, სრპ საბჭოს, რკინის გზელთა ცეკის, საქ., აზერ., სომხეთის კომპარტიების ცეკისა და პროფკავშირების სახელზე. ტექსტებს ერთხმად იღებენ. დიდ ალტაცებას იწვევს ამხ. ლენინის მისალმებული დეპეშა.

სხდომა იხურება საღამოს 8 საათზე.

მერვე სხდომა 9 ივლისს.

რკინის გზის ჯანმრთელობის განყოფილების შესახებ მოხსენებას კითხულობს ამხ. შავერდოვი.

ჯანმთ. განყოფ. მოქმედება.

ამხ. შავერდოვი აცნობს დელეგატებს იმ პირობებს, რომელშიდაც განყოფილებას მოქმედება უხდებოდა; ასეთივეა ჯან. განყ. დამოკიდებულება რუსეთის და ადგილობრივ ჯან. სახ. კომისარიატებთან. პირველ ხანებში კომისარიატებიდან ფულის მიღება ვერ მოხერხდა, მაგრამ შემდეგში ეს საკითხი დამაკმაყოფილებლად მოწესრიგდა.

ჯანმრთელობის, განყოფილების ქონებრივი სახსარი.

ამ ჟამად ჯან. განყ. შემოსავლის წყარო სხვა და სხვა გვარია. უკანასკნელ 5 თვის განმავლობაში ჯან. განყოფილებამ 273 მილიარდი მანეთი მიიღო; აქედან რუსეთის ჯან. სახ. კომ. ჯამიდან მიღებულია 186.614 მილიონი მანეთი, 80 მილიარდი მანეთი ა. | კ. ფინანსთა სახ. კომისარიატიდან, დანარჩენი რკინის-გზიდან, გასავალის ერთი მესამედი დაფარა დამზღვევმა კასამ.

სამკურნალო დახმარება.

საწოლთა რაოდენობა ამ ჟამად ნორმამდეა მიყვანილი. საწოლების რაოდენობა 5 — 6-ჯერ მეტია ახლა ვიდრე წინად, ომამდე. დიდი ყურადღება ქონდა მიქცეული კბილის მკურნალობას. მოეწყო 14 ახალი კბილის სამკურნალო კაბინეტი.

რევმატიზმით სნეულთათვის ტფილისში მოეწყო ტალახის სამკურნალო.

ტუბერკულიოზთა დასნეულობების წინააღმდეგ ამბულატორიაში დახმარების აღმოჩენის გარდა, გახსნილია სპეციალური საავადმყოფო. საავადმყოფო გაიხსნება აგრეთვე ბაქოსა და სომხეთში. გვაქვს სანატორიუმი ცემში.

ბრძოლა მალარიასთან.

ამ უკანასკნელ წლებში მალარიით დასნეულება ძალიან გახშირდა. მალარიასთან ბრძოლის მიზნით მაზუთით ირწყვება მალარიის ბუდეები. მოეწყო ქინაქინის საყოველთაო მოწოდება. 35 სადგურს მიღებული აქვს ქინაქინა და მოთხოვილია, რომ ყოველმა მუშამ დღეში ოთხჯერ მიიღოს. ქინაქინით წამლობა უნდა გაგრძელდეს ორ თვეს. ტფილისში გაიხსნა სამალარიო სამკურნალო 40 საწოლით, გაიხსნა სანატორიუმები გუმბრსა და სურამში.

საწოლთა საერთო რაოდენობა 200-დან 1000-მდე არის აყვანილი, მაგრამ ეს არ კმარა და საჭიროა მომატება.

მედიკური დახმარების კვალიფიკაცია.

საჭიროა საბჭ. მედიცინის პრინციპი. უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს მედიკური დახმარების საუკეთესოდ დაყენებას.

1918 წელს იყო 29 ექიმი და 87 ფერშალი. 1923 წელს 115 ექიმი და 47 ფერშალი. 1918 წელს ერთი კბილის ექიმიც არ ყოფილა, ამ ჟამად კი 14.

მედიკამენტები.

უკანასკნელ წლებში მედიკამენტების დიდი კრიზისი იყო, ამ ჟამად საქმე გამოსწორდა და იშვიათია უარი მედიკამენტების გაღების შესახებ. სამ თვეში შეძენილია 52,000 მან. ოქ. წამალი და 24.000 მანეთის საექიმო ინსტრუმენტი. წრეულს წამლების შეძენა ერთი ხუთად გაიზარდა შარშანდელთან შედარებით.

მენშევიკური პარტიის ყოფილი წევრების კონფერენცია

პირველ რაიონში

ამხ. ბაცაწკალაშვილის სიტყვა.

ამხანაგებო, არ შეიძლება მე მოღალატე მიწოდონ, თუ დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი მოქმედება ეთანხმება ჩემი სინდისის მოთხოვნებს და ხალხის მიმართ მოღალატეობას არ შეიცავს. მე მსურს, რომ მუშებმა ერთად ვიმუშაოთ მუშათა კლასის გასამარჯვებლად. მუშათა კლასის საქმეს აკეთებენ ბოლშევიკები, და ჩვენც მათთან უნდა ვიყოთ. მენშევიკების ლიდერებმა აღარ მოისურვეს მათთან თანამშრომლობა და საერთო ენის გამონახვა და ამიტომ გარიყული დარჩნენ.

მე მინდა, რათა მუშათა კლასი აზროვნებდეს სწორად, ჩვენ გვსურს, რათა მუშები არ იყვნენ გათიშულნი.

ამხ. გნოევოის სიტყვა.

ამხანაგებო, ჩვენ წილად გვხდა მეტად მძიმე მდგომარეობა. თქვენ იცით, თუ რას ვაკეთებდით წარსულში და სანამდი მივედით. დღეს ჩვენ უნდა მოვსპოთ ის, რისთვისაც ვიბრძოდით. ამიერ-კავკასიაში ეს პირველი კონფერენცია არის, რომელიც ასე აყენებს საკითხს. პირველ ყოვლისა უნდა გავეცნოთ ამ კონფერენციის მიზანს. ეს კონფერენცია მოწვეულია იმიტომ, რომ მენშევიკების ც. კ. ხალხის მოღალატეებათ გამოაცხადა ყველა ისინი, ვინც მენშევიკური პარტიიდან გამოვიდა.

ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ, თუ ვინ არის მართალი: ჩვენ თუ მენშევიკები. თუ ჩვენ ვართ მართალი, მაშინ საბოლოოთ ჩამოვცილდებით და სამარცხვინო ბოძზე გავაკრავთ მათ. აი, როგორ დგას საკითხი ჩვენს წინაშე.

მენშევიკების ც. კ. განცხადებამდი, ორი წლის განმავლობაში ჩვენ თვალყურს ვადევნებდით საბჭოთა ხელისუფლების მუშაობას და დღითიდღე ვრწმუნდებოდით, რომ ჩვენ გვაქვს საბჭოთა, უფრო სწორათ რომ ვთქვათ, მუშური ხელისუფლება.

მართლა მოღალატეები ვართ ჩვენ? რას წარმოადგენს მუშათა კლასი? რისთვის ვიბრძოდით და რას შევწირეთ ჩვენ ნახევარი ცხოვრება? ჩვენ ვიბრძოდით მუშის უფლებისათვის, მისი დიქტატურისათვის. თითეული თქვენთაგანი დაადასტურებს, რომ ჩვენ ვიბრძოდით მუშური ხელისუფლებისათვის. ახლა, როცა ხელისუფლებას სათავეში უდგას მუშათა კლასი, ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ ვცდებოდით წინედ. ეს დღეს ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ და დავადასტუროთ.

რასაკვირველია, ამიერ-კავკასიაში ისე ნათლათ ვერ ვგრძნობთ მუშურ ხელისუფლებას, როგორც რუსეთში. დაწესებულებებში ჩვენ ვხედავთ არა მუშურ ელემენტს. ჩვენ ამისათვის არ გვყოფნის მუშები. როცა ჩვენ გვეყოლება ჯანსაღი ელემენტი, ჩვენ შევცვლით ინტელიგენციას დაწესებულებებში. ჩვენ ვიცით, რომ სპეცები დაწესებულებებში მუშაობენ არა მუშების სასარგებლოდ, მაგრამ რა ვქმნათ? არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ვამზადებთ საკუთარ სპეცებს, მუშებს, რომლებიც მომავალში დაიჭერენ ახლანდელი სპეცების ადგილს და მდგომარეობა გაუმჯობესდება. უნდა დავსვათ საკითხი: არის თუ არა ჩვენში მუშური ხელისუფლება? ჩემის აზრით, არის. ჩვენ ვიბრძოდით მუშური ხელისუფლებისათვის, ის არის და დამყარებულია არამენშევიკების მიერ. ამიტომ ჩვენ ვტოვებთ მენშევიკების რიგებს. მართალი ვართ ჩვენ თუ არა?

მენშევიკურ პარტიაში მუშაობის სისტემა სხვანაირია, ვიდრე ბოლშევიკურში. მუშათა დეპუტატების საბჭო დაშლილ იქნა, როგორც კი მოიწვიეს დამფუძნებელი კრება.

წერეთელმა სთქვა: დამფუძნებელი კრების შემდეგ საბჭოები აღარ გვჭირიაო.

როგორი სისტემა იყო ეს? რასაკვირველია, ბურჟუაზიული. მეორე მაგალითი: როცა კომიტეტებს წაართვეს უფლებები, მუშტაიდში იყო კრება. მე გამოვედი კრებაზე და დავიცავი ადგილობრივი კომიტეტების უფლებები. მე ამისათვის გამკიცხეს და კომიტეტის დიქტატურა ფიცხელაურს გადასცეს. მოხდა გაფიცვა ჭიათურაში, რომლის წინააღმდეგ მიიღეს რეპრესიული ზომები, ეს იყო ბურჟუაზიული საქმიანობა, თანდათანობით ჩვენ უკვე აღარ გვიწევდნენ არავითარ ანგარიშს და მენშევიკურმა მთავრობამ ჩვენ დაგვივიწყა.

თქვენ გახსოვთ ბოლშევიკების შემოსვლა ეკატერინოდარში, გახსოვთ, რომ მუშები და გლეხები იმარჯვებდენ. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეს არის ბანდები, მთვრალი ხალხი, რომელიც არივ-დარევას ახდენენ. შემდეგში ჩვენ დავრწმუნდით, რომ ეს არიან ძლიერი ბოლშევიკური რაზმები, რომლებმაც დაამარცხეს დენიკინი და ალექსეევი და მოვიდნენ ჩვენთან მუშურ-გლეხური ხელისუფლების დასამყარებლად მენშევიკები კი ხელს უწყობდენ დენიკინს და ალექსეევს. ეს სავსებით ბურჟუაზიული საქმე იყო იმიტომ, რომ ისინი მიდიოდენ მუშების წინააღმდეგ. მაშასადამე, მენშევიკები ჩვენ ვერ დაგვაბრალებენ მოღალატეობას. ჩვენ არ ვართ მოღალატეები, ჩვენ გვაქვს საბუთები, საიდანაც სჩანს, რომ მენშევიკური პარტია არის ნახევრათ ბურჟუაზიული, ნახევრად მონარქიული პარტია. გაიხსენეთ ჟორდანიას განცხადება: „დასავლეთის იმპერიალისტები მირჩევნია აღმოსავლეთის ფანატიკოსებსო". ეს ბურჟუაზიული საქციელია. ბოლშევიკები იცავდენ მუშათა კლასს და შექმნეს მუშურ-გლეხური სახელმწიფო. დღეს ჩვენ ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოვუღოთ ბოლო გაუგებრობას, რომ მომავალში ამაზე ლაპარაკი არ იყოს.

ამხანაგებო, მე თვითონ ვიყავი მენშევიზმის მომხრე, მენშევიკური პარტია ყველაზე უკეთესად მიმაჩნდა. ბოლშევიკები უფრო გაბედულნი აღმოჩნდნენ, ოქტომბერში მათ დაინახეს მუშების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შესაძლებლობა და კიდეც ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება. ახლა ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ისინი ჩინებულათ მოიქცნენ, სწორეთ მოიქცნენ. ჩვენთვის ახლა ისეთი მდგომარეობა შეიქმნა თითქოს ჩვენ გვცხვენია, თითქოს ჩვენ რაღაც უხერხულად ვგრძნობთ თავს.

რატომ უწინ არ ჩამოვშორდი მე მენშევიკებს?

მე ვიბრძოდი მუშათა კლასის უფლებისათვის, მუშებმა ეს უფლებები მიიღეს მხოლოდ კომუნისტური პარტიისაგან.

ჩვენ ახლა არ გვრცხვენია იმის თქმის, რომ ჩვენ ვცდებოდით, მივდიოდით ბრუნდე გზით, მივყვებოდით დრომოჭმულ მენშევიკურ პარტიას. ჩვენ ახლა უნდა გადავიდეთ საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე. დღევანდელ კრებაზე ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ ჩვენ ვართ არა მენშევიკურ პარტიასთან, არამედ ვიბრძვით მუშათა უფლებისათვის, ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მენშევიკებმა ჩვენ მოღალატეებათ გამოგვაცხადეს, ჩვენ კი ვაცხადებთ, რომ მენშევიკური პარტია, როგორც ასეთი, ვერ იარსებებს, რადგან მისი ინტერესები და პრინციპები მიმართულია მუშათა კლასის ინტერესების წინააღმდეგ. ამით ვათავებ მე სიტყვას და ვთხოვ ძველ მუშაკებს გამოსთქვან თავისი აზრი ამის შესახებ.

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს (ტაში).

ჩვენი მეურნეობის დეფექტები *)

მუშაობის გეგმა

მუშაობის გეგმა.

მეურნეობის კარგად წარმართვა გულისხმობს პირველ ყოვლისა წინასწარ დამუშავებულ გეგმას, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს მთელი სამეურნეო კონიუქტურა და სასარგებლოდ გამოყენებული ყოველი მომენტი ცხოვრების.

მეურნეობას აქვს ათასი სხვა და სხვანაირი სპეციური მხარეები, და ყოველივე ამას რომ მიწვდეს მეურნის თვალი, წინ უნდა ედოს მას ადრე დახატული გეგმა, როგორც გენერალს სამხედრო ფრონტზე.

საქართველოს მეურნეობას ეს გეგმა აკლია, ხელმძღვანელი ორგანო, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭო, კარგათ არ იცნობს ყველა კუთხეებს საქართველოში, როდესაც მან უნდა ზეპირად იცოდეს, რომელ კუთხეში რა მდგომარეობაშია მეურნეობა და რას წარმოადგენს იგი. არ არსებობს მჭიდრო კავშირი სამაზრო ეკონომიურ განყოფილებებსა და ს. მ. უ. საბჭოს შორის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ქაღალდზე არსებულ კავშირს, რაც წელიწადში ორსამ მიწერ-მოწერაში გამოიხატება. მგონია, ზოგიერთ ეკონომიურ განყოფილებებთან არც ქაღალდზე არსებობს ეს კავშირი.

საჭიროა ყურადღება, მიხედვა ცენტრიდან, რასაც დღეს არა აქვს ადგილი და თუ აქვს, ისე სუსტად, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

გეგმის შემუშავების დროს უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში ყოველი წვრილმანი, რომ შემდეგში მუშაობის დროს გეგმა ქაღალდზე არ დარჩეს. ამიტომ გეგმას მაშინ ექნება მნიშვნელობა, როდესაც ყოველივე გამოცდილების ჯამს სისტემატიზაცია მიეცემა და გადავა ბოლოს სახელმძღვანელოდ. აუცილებლად საჭიროა ამ მხრივ მიექცეს ჩვენ მეურნეობას სასწრაფოთ სერიოზული ყურადღება და იქნეს შემუშავებული გეგმა სამეურნეო საქმიანობის შესახებ.

კალკულიაცია.

იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომებმა ეკონომიურ ცხოვრების საფუძველი აურ-დაურია.

მეურნეობა განიცდის საშინელ კრიზისს.

ეკონომიური ცხოვრება შეიცვალა. წარმოება იმყოფება გაურკვეველ პირობებში. ძნელდება წარმოების ღირებულებათა გამორკვევა. ამ მხრივ ჩვენში აუარებელ შეცდომებს აქვს ადგილი. მაგალითად, შვიდობიანობის დროს ღებულობენ 1913 წელს და ადარებენ ეხლანდელ დროს, მაგრამ ამ შედარებაში საჭიროა დიდი გამოცდილება, დაკვირვება და ცოდნა. სამწუხაროდ, ზოგიერთ საწარმოო დარგში ადგილი აქვს ელემენტარულ შეცდომებს. კალკულიაციის საკითხი არ არის მოგვარებული.

ავიღოთ, მაგალითად, თამბაქოს ტრესტი (მე ვღებულობ ციფრებს დაახლოვებით). შარშან ზაფხულში პაპიროსი „სოლიდნია" ღირდა 20 — 25 კაპ. ოქროთი. ეს ფასი იყო ვითომ სწორედ გამოანგარიშებული, რადგანაც მშვიდობიანობის დროს აღნიშნული პაპიროსი იყიდებოდა ამ ფასებში, ღებულობდნენ 1913 წ. ფასებს და ამაზე ამყარებდნენ კალკულიაციას. მაგრამ ოქროს სყიდვით ძალა 1913 წელთან შედარებით დაეცა 100-150 პროც. ეს არ იყო მხედველობაში მიღებული და ამიტომ თამბაქოს საქმე ჩვენში განიცდის განსაკუთრებულ კრიზისს.

ფაბრიკას ნაწარმოებს ჰყიდიდნენ ისე, როგორც იყიდებოდა 1913 წ. და თვითონ საჭირო საგნებში ფაბრიკისთვის 100 — 150 პროც. მეტს აძლევდნენ, ვიდრე 1913 წ. აი, როგორ ანგარიშს ჰქონდა ადგილი.

ამ შეცდომებს, თუ არ ვცდები, მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მიაქცია ყურადღება, მაგრამ გვიანღა იყო. შეცდომებს და არა ნორმალურ მოვლენებს საკმარისად ჰქონდა ადგილი.

ასეთი მაგალითები ბლომათაა ჩვენს მეურნეობაში და ამას უნდა მიექცეს სასწრაფოდ ყურადღება.

ავიღოთ ახლანდელი ფასები. აქაც არის შეცდომები. იგივე პაპიროსი „სოლიდნია" იყიდება 20 — 25 კაპ. ეს არის მშვიდობიან დროს ფასები, ყოველ შემთხვევაში თამბაქოს ტრესტი ზარალს ხედავს, რადგანაც თითონ უჯდება არა ნაკლები. აქედან გამომდინარეობს შემდეგი: ან უნდა მოუმატონ ფასები დაახლოვებით 150 პროც. ან საჭიროა შევამციროთ ხარჯები ისე, რომ აღნიშნულ ფასებში მოგება დაგვრჩეს. თუ ამ ორში ერთი არ ვქენით, ჩვენ მივალთ კატასტროფიულ მდგომარეობამდე თამბაქოს მრეწველობაში. გადავიდეთ ჩვენი მრეწველობის დანარჩენ დარგებზე, ტყავეულობის მრეწველობაზე, ღვინოზე, სპირტზე და სხ. აქ შეცდომებს უშვებენ მეორე მხრით: საქონელს ფასებს ადებენ ვარაუდათ (огульно). მაგალითად, საქონელს, რომელიც ღირდა მშვიდობიანობის დროს 7 მანეთად, ეხლა ტყავეულობის მრეწველობა ჰყიდის 40 — 50 მან. ოქროთი, ასევე იქცევა ღვინოს და სპირტის ტრესტიც.

ასეთი კალკულიაციის მიღება დამამტკიცებელია საქმის უკოორდინარობისა. ასეთი არევ-დარევა კალკულიაციის საკითხში სამუდამოდ უნდა იქნეს მოსპობილი.

საორგანიზაციო საკითხი.

საორგანიზაციო საკითხს მთლად არ შევეხები, ვინაიდან ამ საკითხს მიაქციეს ყურადღება საქართველოს ცაკის მეოთხე სესიამ და ჩვენი პროფკავშირების მესამე ყრილობამ. მაგრამ მაინც ზოგი რამ არის გამოტოვებული და ამაზე მინდა ვილაპარაკო.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დღემდის არა აქვს გამომუშავებული მრეწველობის დებულება, არ არის გადაწყვეტილი თუ რომელი დარგის წარმოება უნდა იყოს ს. მ. უ. ს. განკარგულებაში და რომელი არა. გარდა ამისა, ეს დებულება პერიოდულად უნდა იქნეს გადასინჯული, ვინაიდან დროისა და მდგომარეობის მიხედვით შეიძლება საჭირო იქნეს ზოგიერთ მუხლების გამოცვლა.

საორგანიზაციო საკითხს ამ სინამდვილეში დიდი მნიშვნელობა აქვს. მის მიზანშეწონილად გადაჭრაში ს. მ. უ. საბჭომ ვერ გამოიჩინა საჭირო უნარი. მან ჩამოიშორა მთელი რიგი სამრეწველო დაწესებულებებისა დღეს ნახევარზე მეტი ქარხნები და ფაბრიკები არის სხვადასხვა სახალხო კომისარიატების განკარგულებაში, რომლებთან აღნიშნულ ფაბრიკა-ქარხნებს არავითარი კავშირი არა აქვთ. მაგალითად, ბორჯომის ხე-ტყის ქარხანა იმყოფება ჯანმრთელობის კომისარიატის განკარგულებაში, საქსოვი ფაბრიკა სასურსათო კომისარიატის განკარგულებაში, მარგანეცის სამმართველო სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებაში და სხ. ასეთ მდგომარეობას ორგანიზაციული პრინციპი მეურნეობაში ვერ ითმენს და უნდა იქნეს ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოთ გადაჭრილი.

ფინანსიური საკითხი.

ყოვლად დაუშვებელია ის უთავბოლობა, რაც ამჩნევია ს. მ. უ. ს. საბჭოს ფინანსიურ დარგში. პირველი არ არის ბალანსი 1922 წ. საიდაც შეიძლებოდეს ჩახედვა და დანახვა იმისა, რამდენი წააგო ან რამდენი მოიგო ს. მ. უ. საბჭომ 1922 წ. ეს სარკე უნდა ჰქონდეს ს. მ. უ. საბჭოს ეხლა, როდესაც მე-7 თვე თითქმის გადასულია. გარდა ამისა, განყოფილებები და ტრესტები ვალდებულნი არიან თავიანთ საწარმოო პროგრამის მიხედვით პროცენტიული გადარიცხვა აწარმოვონ ს. მ. უ. ს. სასარგებლოდ ყოველ წლიურად. ს. მ. უ. ს. კი არ იცის, რომელმა განყოფილებამ რამდენი უნდა მისცეს, რომელ განყოფილებას რამდენი აქვს მისაცემი.

ჩვენ აქ შევეხეთ ერთ-ორ მცირე ფაქტს; სინამდვილეში ს. მ. უ. ს. ცხოვრებაში ბევრ ამისთანა მაგალითებს აქვს ადგილი.

ს. მ. უ. ს. სავაჭრო პოლიტიკა.

დღეს ჩვენში ისე არეული არაფერი არ არის, როგორც შინაგან ვაჭრობის საქმე.

შინა-ვაჭრობას არ ჰყავს არავინ პატრონი. დაწყებული ს. მ. უ. საბჭოდან გათავებული განათლების კომისარიატამდე, ყველანი ვაჭრობენ. შინა-ვაჭრობაზე ერთიანი სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა არ სჩანს. ერთი საბჭოთა დაწესებულება ებრძვის და კონკურენციას უწევს მეორე საბჭოთა დაწესებულებას.

დღეს თბილისში მრავალი სახელმწიფო-სავაჭრო დაწესებულება არსებობს. ერთი ჰყიდის ერთ საქონელს ძვირად და მეორე იგივე საქონელს ჰყიდის უფრო იაფად. უნდა იყოს ერთი ცენტრალური ორგანო, რომ ყველას ასწავლოს და აჩვენოს ნამდვილი სწორი გზა. არსებულ მდგომარეობით სარგებლობენ ჩვენი მოწინააღმდეგენი — კერძო ვაჭრები.

შემდეგ ვაჭრობას სჭირდება ორნაირი ცოდნა, ერთი სწრაფი ორიენტაცია და თვალგადავლება ბაზარზე, როგორც ჩვენში, ისე საერთაშორისო მასშტაბით. მეორე, ცოდნა ყოველივე წვრილმანებისა ვაჭრობა-მრეწველობის დარგში.

ვაჭრობის ხელმძღვანელებმა ეს ორივე მომენტი უნდა გაითვალისწინონ და ამის მიხედვით იმოქმედონ.

ს. მ. უ. ს. სავაჭრო დარგი ყველა ნაწილზე უფრო მოიკოჭლებს. ყოვლად დაუშვებელია ის, რასაც აქვს ადგილი ს. მ. უ. ს-ში. მაგალითად, ს. მ. უ ს. ყინულს ადგილზე ჰყიდის 800.000 მ. ქალაქის სასაკლაო მიტანით ჰყიდის 600.000 მ. თუ ვიანგარიშებთ მიტანის ფასს, ქალ. სასაკლაო 100 პროც. იაფად იძლევა ყინულს. უფრო კურიოზულ მაგალითებს აქვთ ადგილი, მაგალითად: ფეხსაცმელს, რომელიც ღირდა მშვიდობიანობის დროს 7 — 9 მანეთად, ეხლა ჰყიდიან 25 — 35 მან. თუ გადავხედავთ დანარჩენ განყოფილებების ვაჭრობას, აქაც ბევრს ნახავთ ასეთ მაგალითებს. მე არ ვლაპარაკობ, რომ საქონელი უეჭველად უნდა გაიყიდოს იმ ფასებში, რა ფასებიც იყო მშვიდობიანობის დროს. საჭიროა ამ ფასებზე მომატება, მაგრამ ძალიან დაკვირვებით, გამოანგარიშებით და არა ისე, როგორც სახალხო მეურნ. უმაღლ. საბჭ. შვრება, როცა ის ჰყიდის ზოგიერთ ფაბრიკატებს 400 — 500 პროც. მეტად. გადავიხედოთ ეხლა კერძო წარმოებაში. ისეთივე ფეხსაცმელს კერძო პირი ჰყიდის 10 — 15 მანეთად.

კეთილ ინებეთ და ასეთი სავაჭრო პოლიტიკით კონკურენცია გაუწიეთ კერძო ვაჭრობას!

ცოტა რამ ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოზე. ეს დაწესებულება, შეიძლება ითქვას, ცოტად უკეთესად აწარმოებს ვაჭრობის საქმეს, მაგრამ ს. მ. უ. საბჭომ ვერ მისცა მას ნამდვილი ცენტრალური სავაჭრო სახე.

დღეს ჩვენი პროვინცია დიდ მოთხოვნილებას განიცდის ჩვენ ნაწარმოებზე, მაგალითად ტყავეულობაზე და სხვა. აქ კი ცენტრს ფაბრიკატების რეალიზაცია უძნელდება, სხვათა შორის ჩვენ ტრესტების კონკურენციის გამო.

დღეს ვაჭრობა-მრეწველობის საკითხი უნდა იქნეს პირველ რიგში დაყენებული, რადგანაც ამ მხრივ გვეტყობა ჩვენი სისუსტე. ამ საკითხის მოგვარებას აქვს გადამჭრელი მნიშვნელობა. ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნულ დეფექტებზე იქნება მიქცეული სერიოზული ყურადღება.

ლ. ჰანტურაია.

ტფილისის ალმასკომის პლენუმი

9 ივლისს, საღამოს გაიმართა ტფილისის ალმასკომის პლენუმის სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა შემდეგი საკითხები.

ბიუჯეტის შემცირება.

(ამხ. ბახილიას მოხსენება.)

მცირე პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ფინანსიურ განყოფილებას გადაესინჯა ხარჯთ-აღრიცხვა მისი შემცირების მხრივ, რადგან ჯერ კიდევ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს აღნიშნული იყო, რომ ჩვეულებრივ შემოსავალს არ შეუძლია დაფაროს ხარჯები და ამიტომ ბიუჯეტში მთავრობის მხრივ დახმარებას უჭირავს მესამე ადგილი. ამავე დროს, მთელი რიგი ხარჯებისა ამიერ-კავკასიის ცენტრალურ ალმასკომის 8 აპრილის დეკრეტის ძალით გადატანილ იქნა ადგილობრივ საშუალებებზე, რამაც კიდევ მეტი ხარჯები დააკისრა ბიუჯეტს. ამ ხარჯების დასაფარავად კი წყაროები არ მოგვეპოვება, ვინაიდან ამისათვის საჭიროა ახალი გადასახადების შემოღება, რაც ასე ჩქარა არ შეიძლება განხორციელდეს. ამის გამო დაისვა საკითხი ბიუჯეტის შემცირების შესახებ.

წარმოდგენილი ბიუჯეტი შემცირებულია ხარჯებში 240,000 მანეთამდე ოქროთი თვეში.

შემოსავალი შესდგება შემდეგი თანხებიდან; — ნარჩენი — 5,817 მ., ქალაქის წარმოებათაგან — 80,000 მან., დარაბებისაგან — 93,080 მან., ქალაქის ქონებისაგან — 14,174 მ., მთავრობის გადასახადებისაგან გადარიცხვა — 3,000 მან., სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან — 8,333 მან.

საპატენტო გადასახადების დამატება და სხვა — 6,000 მან., გადასახა-

---

*) სადისკუსიო.

ური ვაჭრობა-მრეწველობაზე—7,203 , გადასახადები ეტლებზე—117 მან. ჯა და სხვა სახის ბაჟები—5,000 მ. ძიაზე დახარჯულ თანხის ანაზღაუბა—18,000 მან., ხარჯების დაბნება 1,722 მან., და სხვა და სხვა ასავალი 541 მან.

რაც შეეხება გასავალს, იგი შესგება შემდეგი ციფრებისაგან: ალმაკომის შესანახად—87,081 მ. და 64 კომუნალურ ორგანოების შენა—3 296 მ. 37 კაპ., ქალაქის სახის შენახვა—8773 მ. 44 კაპ., ქაის მოწყობა-გაუმჯობესება 17,130 97 კაპ., ქალაქის წარმოებებზე 0,000 მან., სანიტარიაზე—350 მ. კაპ., ცეცხლის გაჩენის წინააღმსაბრძოლველად—6,033 მან. 47 , გზების შეკეთებაზე—3,330 მან. ალხო განათლებაზე—20,618 მან. კაპ., ჯანმრთელობაზე—38,618 მ. კაპ., სასოფლო-სამეურნეო ხარბი—4,629 მან. 60 კაპ., ხარჯები ზე—17,034 მან. 95 კაპ., სოალურ უზრუნველყოფაზე—2019 მ. კაპ. და სხვა და სხვა ხარჯები— მან.

ერთოდ შემცირებულია ხარჯები პროცენტით, ბიუჯეტში არ არის ნილი ავჭალის ჰიდრო-ელექონის სადგურის მოწყობი კომიის გადარიცხვა, რაც განზრახუ დაიფაროს ახალ გადასახადების ზე დამატებით ასიგნობების ით.

რომ ქალაქს მოეპოვება შემოსავ წყაროები, ეს სჩანს შემდეგი იდან დაწესებულებათა მიერ ებულ შენობების სარგებლობიის დავალიანების შესახებ: იერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატი—7,500 მ. ოქრ., ოლების სახ. კომისარიატი—5 მ. და სხვა, საერთოდ 5 დაულებას ჰპართებს ქალაქის 336 მან. არსებობს კომისია, როც არკვევს დაწესებულებათა ლიანებას და გამორკვეულია, რომ შენობიდან შეიძლება მივიღოთ ლოვებით 50.000 მან. ოქროთი

მათის შემდეგ პლენუმმა დაად: 1) აღიარებულ იქნას პირველ ხოვან ამოცანად მუშაობის დასება ზემო-ავჭალის ელექტროურის ასაშენებლად და გადაი ამისათვის სათანადო თანხები, ინადადება მიეცეს პრეზიდიუმს ის გაბედული ზომები სადარარების ასაკრებად მოვალეები და 3) ბიუჯეტი დამტკიცებულ და მიღებულ იქნას იგი სახელმძღვანელოდ ნახევარი წლის ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს.

წყლის ტარიფი.

(ამხ. მესხის მოხსენება).

სპეციალური კომისია იმუშავებდა წყლის ტარიფს, ამასთანავე კომისიის მუშაობას საფუძვლად დაედო როგორც მუშის ბიუჯეტი, ისე წარმოების ინტერესები. საბოლოვოთ გამომუშავებულ იქნა შემდეგი ტარიფი:

ყველა გადამხდელები წყლის სარგებლობისათვის გაყოფილი არიან 3 კათეგორიათ, გადასახადის სხვა და სხვა ნორმით. ამ ჟამად ყველანი იხდიან 0,5 კაპ., ხოლო ამიერიდან შემოღებული იქნება შემდეგი გრადაცია: მუშა-მოსამსახურეები, რომელნიც იღებენ 25 საქ. მანეთამდე იხდიან ერთი მერვედი კაპეიკს, რომელნიც იღებენ 25 მან.—75 საქ მანეთამდე—ერთი მეოთხედი კაპ., ხოლო დანარჩენები იხდიან ნახ. კაპეიკს. კერძო და სამეურნეო ანგარიშზე გადასული წარმოებანი იხდიან ნახ. კაპ., ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებანი და წარმოებანი ერთი მეოთხედი კაპ. დაზღვეული უმუშევრები, ინვალიდები და წითელ არმიელთა ოჯახის უმუშევარი წევრები განთავისუფლებულნი არიან გადასახადისაგან 1 ვედრო წყალისათვის, ხოლო ზემეტი წყლის დახარჯვისათვის იხდიან უმცირეს კატეგორიის მიხედვით.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო გადასახადის გამოანგარიშების და აკრეფის ტეხნიკს და სახლის პატრონების მოვალეობის საკითხს.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ ალმასკომმა, მიიღო რა მხედველობაში დიასამიძის და დოლიძის კიდევ ორი წინადადება, დაადგინა საკითხი გადადებულ იქნას შემდეგ სხდომისათვის; სამივე წინადადება დაბეჭდოს მრავალ ეგზემპლიარად და დაურიგდეს ალმასკომის წევრებს და გარდა ამისა არჩეულ იქნას კომისია ამხ. ჯუღელის, რუხაძის და მესხის შემადგენლობით, რომელიც წარმოადგენს მოხსენებას; ამასთანავე წყალის გადასახადს საფუძვლად უნდა დაედოს საქონლის მანეთი.

პრეზიდიუმის წევრის არჩევა.

ამხ. სუხიშვილი იუწყება, რომ ამხ. რუხაძის გასვლის შემდეგ განთავისუფლდა ერთი ადგილი პრეზიდიუმში და წინადადებაა შემოსული არჩეულ იქნას პრეზიდიუმის წევრად ამხ. იტრიევი.

წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

პარტიული ცხოვრება

სააგიტ-საპროპაგანდო მუშაობა ა. კ. კ. თელავის სამაზრო კომიტეტისა.

მუშაობა თვით კავშირში. უმთასი ყურადღება მიქცეული აქვს ვშირის წევრებში წერა-კითხვის ოდინარობის ლიკვიდაციას. ამ მიით ყოველ უჯრედთან არსებობს რა-კითხვის უცოდინარეობის სავიდაციო სკოლა, რომელსაც მძღვანელობენ კავშირის მომზაებული ძალები ან უპარტიო მასწალებლები. მაზრის ცენტრში და რანებში არსებობს პოლიტწრეები, ლებშიაც მეცადინეობენ კავშის წევრები თავის უკეთ მომზაბული ამხანაგების ხელმძღვანელო. მაზრის ცენტრში არსებობს მაისტული წრე, რომელსაც ხელვანელობენ პოლიტგანათლების ყოფილება და კომკავშირის სამა კომიტეტი. კომკავშირი ხნურვალე მონაწილეობას იღებდა პირველი მაისის დღესასწაულის ჩატარებაში. ინვალიდთა დახმარების კვირის ჩასატარებლათ არჩეულ იქნა კომისია, რომელმაც მოაწყო საღამო სეირნობა ინვალიდთა სასარგებლოთ. სეირნობამ დასტოვა წმინდა შემოსავალი 22.300.000 მანეთის რაოდენობით.

მუშაობა უპარტიო ახალგაზრდობაში. კომკავშირის კლუბში ყოველ ხუთშაბათობით კეთდება მოხსენებები უპარტიო ახალგაზრდობაში სხვა და სხვა თემაზე, ეს ახალგაზრდობა დიდ ინტერესით ხვდება ამ მოხსენებებს. რაიონებში უპარტიო ახალგაზრდობა ესწრება კომკავშირის ღია სხდომებს, სადაც ირჩევა პოლიტიკური საკითხები. აგრეთვე თვეში ერთხელ რაიონის ინსტრუქტორები აკეთებენ მოხსენებებს საყოველთაო სამხედრო სწავლების ნაწილებში.

მუშაობა მოწაფეთა შორის. კომკავშირი საკმაო ყურადღებას აქცევს მოსწავლე ახალგაზრდობაში მუშაობას. შაბათობით კომკავშირის კლუბში კეთდება მოხსენებები მოსწავლე ახალგაზრდობაში. უკანასკნელნი დიდი ინტერესით ეპყრობიან ყოველგვარ კულტურულ და პოლიტიკურ მუშაობას ჩვენს წრეებში. მოსწავლე ახალგაზრდობას ემჩნევა ძლიერი ლტოლვა კომკავშირისაკენ, მაგრამ კომკავშირის კომიტეტი ამ მოვლენას უყურებს ძალიან შორსმჭვრეტელობით.

მუშაობა „სპარტაკში“. კომკავშირის ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის ქვეშ სწარმოებს სისტემატიური მუშაობა „სპარტაკში“. დაარსებულია ხუთი კოლექტივი: ამხ. ორჯონიკიძის, ტროცკის, ლიბკნეხტის, ლენინისა და კამოს სახელობაზე.

საანგარიშო თვეში გახსნილ იქნა „სპარტაკში“ სამკითხველო, რომლითაც სარგებლობენ სპარტაკის წევრები. ინტერესი, „სპარტაკის“ წევრებისა განვითარებისა და განათლების შეძენისადმი ძლიერია. კლუბი მოთავსებულია ეკლესიაში. „სპარტაკის“ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს ენერგიული ამხანაგი. რაოდენობა „სპარტაკის“ წევრებისა აღემატება 250 კაცს „სპარტაკიდან“. 16 წელზე უფროსები გამორიცხულ იქნენ მექანიკურად გარდა კავშირის წევრებისა.

ლიტერატურის განაწილების მხრივ ორგანიზაციაში—საანგარიშო თვეში განაწილებულ იქნა წიგნი 180 ცალი, გაზეთი 240 ცალი.

კომკავშირის ამოცანას და მიზანს უახლოეს დროისათვის შეადგენს მუშაობის გაძლიერება უპარტიო და მოსწავლე ახალგაზრდობაში.

შ.

შორაპნის მაზრა.

4 ივლისს ოთხშაბათს საღამოს 5 საათზე ქ. ჭიათურაში შესდგა შორაპნის მაზრის პარტკომის პლენუმის გაფართოებული სხდომა, რომელსაც დაესწრო ყველა პარტკომის წევრები და 20-მდი პ. მ. ამხანაგი.

დღის წესრიგში იდგა ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები.

პირველად მოხსენებისათვის სიტყვა მიეცა ამხ. კ. სულავას—ჭიათურის რაიკომის მუშაობაზე. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ჭიათურის რაიკომი უკანასკნელ ორ თვეში მუშაობას აწარმოებდა მეტად სუსტად პ. მ. მდივნის მიზეზით, რის გამოთვით ჭიათურის ორგანიზაციაშიაც, პარტ-დისციპლინა არ იყო თავის სიმაღლეზე.

შემდეგ პარტკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ამხ. გ. შელიამ გააკეთა მოხსენება მაზრაში პარტმუშაობის ახალ სტრუქტურაზე, რაც მიღებულ იქნა სახელმძღვანელოდ და ცხოვრებაში გასატარებლად.

რადგან მაზრა განიცდის მომზადებულ პარტ-ამხანაგების სიმცირეს, ამიტომ პლენუმმა აუცილებელ საჭიროებად სცნო პარტშკოლის გახსნა და სისრულეში მოყვანა მიანდო პარტკომის პრეზიდიუმს.

აგრეთვე საჭიროთ დაინახა ადგილობრივი გაზეთის გამოშვება, რომლითაც პარტკომს საშუალება მიეცემა უფრო ცოცხალი კავშირი დაიჭიროს მაზრის მუშებთან და გლეხებთან და დაუახლოვოს ისინი ერთმანეთს.

პლენუმმა იქონია რა მსჯელობა, რომ მხოლოდ წერილობითი დირექტივები და ინსტრუქციები არ არის საკმაო მაზრის პერიფერიულ ნაწილებთან მჭიდრო კავშირისთვის დაადგინა: მოწვეულ იქნას პ. მ. ამხანაგების თათბირი მაზრის მასშტაბით, რათა მათ საშუალება მიეცეთ უკეთ გაეცნონ საჭირ-ბოროტო საკითხებს.

შემდეგ გაიმართა მსჯელობა საბჭოთა-პარტორგანოთა გაჯანსაღებაზე, ვინაიდან შენიშნულია საბჭოთა ორგანოების თანამშრომელთა განსაკუთრებით კი ზოგიერთ თემ ალმასკომების თავმჯდომარეთა შეუფერებლობა თავის თანამდებობისთვის, რომელნიც საბჭოთა ხელის-უფლების პრესტიჟს სცემენ მასის თვალში. პლენუმმა საჭიროდ დაინახა ასეთების გაწმენდა და აირჩია კომისია ხუთი კაცისაგან, რომელმაც უნდა იმუშაოს სამაზრო კომპარტკომის და ალმასკომის მიერ მოცემულ დირექტივების თანახმად.

კრებამ მოისმინა აგრეთვე საბინაო კომისიის მოხსენება, საიდანაც გამოირკვა, რომ ბინების საკითხი მეტად მწვავედ სდგას ჭიათურაში, მაგრამ მას დაევალა უფრო ენერგიული მუშაობა ბინების აღმოსაჩენად, როგორც დაწესებულებებისათვის, ისე საბჭოთა მოსამსახურეებისათვის.

ვიოლეტა.

მენშევიკური პარტია აღსასრულის წინ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის უახლოეს ნომერში გამოაცხადოთ ჩვენი, მენშევიკური პარტიის ყოფილი წევრების გულწრფელი განცხადება:

ჩვენ, ქვემორე ამის ხელის მომწერნი, საქართველოს მენშევიკური პარტიის წევრები საჯაროდ ვაცხადებთ, რომ მენშევიკურმა პარტიამ და მეორე ინტერნაციონალმა გაყიდეს მუშათა კლასის ინტერესები, ისინი დაუკავშირდნენ მსოფლიო ბურჟუაზიას და მუშათა კლასის საწინააღმდეგოდ მუშაობენ.

მენშევიკები თავის ბატონობის დროს სდევნიდნენ საქართველოში მუშათა კლასის ინტერესების დამცველ კომუნისტურ პარტიას და სრულ კონტაქტსა და კავშირში იყვნენ მეფის გენერლებთან. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ ისინი დაუკავშირდნენ, როგორც მსოფლიო ბურჟუაზიას, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მომქმედ ბანდიტებს, ჩოლოყაშვილს, მათიაშვილს, მანწკავას და სხვებს და იმათი დახმარებით სურთ ჩამოაგდონ მუშათა კლასის ინტერესების დამცველი მთავრობა, ამიტომაც ჩვენ გამოვდივართ მენშევიკური პარტიიდან და ვკიცხავთ მას. ჩვენ ვდგებით საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტურ პარტიის წითელი დროშის ქვეშ და არას დროს მას არ ვუღალატებთ.

ძირს გახრწნილი მენშევიკური პარტია.

გაუმარჯოს მშრომელი კლასის ინტერესების ერთად-ერთ დამცველს, კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს ერთიანა მუშათა ფრონტს მესამე კომინტერნის ხელმძღვანელობით.

1. მიქაძე ნიკოლოზ 1918 წლ.—მასწავლებელი, 2. კვალიაშვილი მოსე 1917 წ.—ჩამომხსმელი, 3. მელიქიძე სიმონ 1917 წ.—კანტ. მოხელე, 4. ჯიქიძე ილიკო 1899 წ.—ხარატი, 5. კოსტა პაპუშვილი 1917 წ.—ზეინკალი, 6. დათიკო ლონიკიშვილი 1917—ზეინკალი, 7. ლავრენტი ბერაძე 1917—რკინის გზის მოსამსახურე, 8. შათირაშვილი გიორგი 1917—კონდუქტორი, 9. ხაჭაპურიძე სპირიდონ 1917—კონდუქტორი, 10. ჯუღელი ალექსანდრე 1917—კონდუქტორი, 11. იოსებ ციყელაშვილი 1905—მეისრე, 12. ივანე ხარიტონის ძე ჯორჯიშვილი 1917—კანტ. მოხელე, 13. კონდრატი, იგივე ნიკოლა მაღრაძე 1903—გზის ოსტატი, 14. იასონ ბებია 1905—„დისიატნიკი“, 15. ვასილ გელაშვილი 1900—მემანქანე, 16 სიმონ ზარბაქაძე 1917—მეისრე, 17. შალვა უროტაძე 1919—მწონავი, 18 ესტატე ჰყოიძე 1904—ოსტატი, 19. ლავრენტი მანჯგალაძე 1913—მემანქანე, 20. ევგენი კიკნაძე 1917—კონდუქტორი, 21. ბიქტორ მეტრეველი 1903—მემანქანე, 22. ზაქარია გოგოლაძე 1917—მემანქანე, 23, გერასიმე ხაბეიშვილი 1914—დეპოს „კოჩეგარი“, 24. გიორგი ლომსაძე 1904—მემანქანე, 25. გიორგი ნადარეიშვილი 1919 წ. 26 ონისიმე კაკიაშვილი 1919—მემანქანის თანაშემწე, 27. ნიკოლოზ ცხადაძე 1903 წ., 28. იპოლიტე კიკნაძე 1917—რემონტის მუშა, 29. ვარლამ ცქიტიშვილი 1903 წ.

—

გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „კომუნისტი“-ს უახლოეს ნომერში მოათავსოთ შემდეგი: მე ვმუშაობდი საქართველოს მენშევიკურ პარტიაში 1907 წლიდან. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დავრწმუნდი, რომ მუშათა კლასის დამცველი არის მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტური პარტია, ხოლო მენშევიკური პარტია არის მისი ინტერესების გამყიდველი.

ზიზღს ვუცხადებ მენშევიკურ პარტიას, ვუსურვებ მას დასამარებას საბოლოოთ და ჩემს ენერგიას ვუერთებ კომუნისტურ პარტიას.

ერმილე სიმონის ძე გოგუაძე.

—

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ დამიბეჭდოთ ეს ჩემი გულწრფელი განცხადება.

ვინაიდან მე სავსებით დავრწმუნდი, რომ მენშევიკური პარტია მოღალატეა მუშათა კლასის, ფეხქვეშ თელავს მის ინტერესებს და ეხმარება ბურჟუაზიას მუშურ-გლეხურ მთავრობასთან ბრძოლაში,—ამიტომ საქვეყნოთ ვაცხადებ, რომ გამოვდივარ მუშათა კლასის გამყიდველ მენშევიკური პარტიიდან, სავსებით ვიზიარებ მოქმედებას კომუნისტური პარტიისას, რომელმაც საქმით დაამტკიცა მუშათა კლასისადმი თავისი ერთგულება, ერთადერთ კომუნისტურ პარტიას შეუძლია ატაროს მუშათა კლასის ხელმძღვანელის სახელი. ამისათვის მე, როგორც მუშა, ვუსურვებ ბრწყინვალე გამარჯვებას კომუნისტურ პარტიას მთელ დედამიწის ზურგზე.

ქრისტეფორე მიქაშავიძე. (1917 წ.).

—

გთხოვთ მომითავსოთ შემდეგი განცხადება:

1919 წლიდან მე ვეკუთვნოდი მენშევიკურ პარტიას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან საქართველოში, შევსწყვიტე მასთან ყოველივე კავშირი. ვსცნობ რა მუშების და გლეხების ნამდვილ ინტერესების დამცველათ კომუნისტურ პარტიას, ვუერთდები მას და ფიცსა ვსდებ მთელი ძალ-ღონით ვიმუშაო მასთან ერთად პროლეტარიატის კეთილდღეოთ.

გრამიტონ აფხაზავა.

—

პასუხად მენშევიკების ცენტრალურ კომიტეტის რეზოლიუციაზე.

ჩვენ ქვემორე ამის ხელის მომწერნი ტფილისის საფოსტო მთავარ კონტორის მუშა-მოსამსახურენი მენშევიკურ პარტიის ყოფილი უბრალო წევრები და თანამგრძნობნი ვაცხადებთ ყველა მუშებისა და მშრომელთა საყურადღებოთ, რომ სრულიად შეგნებულათ, გარეშე ყოველგვარ ძალდატანებისა და შიშისა, გავდივართ მენშევიკურ პარტიის რიგებიდან, რადგანაც ყველა მშრომელთა დასანახათ ბელადები (სოციალ-გამყიდველები) გახდნენ კაპიტალის და ბურჟუაზიის ლაქიებათ და ფიცსა ვდებთ მთელი ჩვენი ძალ-ღონე მოვახმაროთ საბჭოთა ძალაუფლების კეთილდღეობას.

1. ჩხენკელი ვ. — — 1913 წ.
2. მელიქოვი არმენაკი — 1917 წ. 1920 წ-დე.
3. მახარაძე ფილიპე — 1917 წ. 1920 წ-დე.
4. კარგარეთელი ალ. — 1918 წ. 1920 წ-დე.
5. ხოშტარია მიხეილი — 1914 წ. 1921 წ-დე.
6. შალაშვილი დავითი — 1920 წ. 1921 წ-დე.
7. მაისურაძე მიხეილი — „ „
8. ჩარი—გოგლაშვილი — 1917 წ. 1922 წ-დე.
9. გვათუა ყარამანი — 1917 წ. 1920 წ დე.
10. მაჩხაძე — — — „ „
11. ელურიძე ალ. — — „ „
12. არჩილ ქავთარაძე — 1919 წ. 1921 წ-დე.
13. ჩატიშვილი ალექსანდრე 1919 წ. 1920 წ-დე.
14. სელხანიშვილი ივანე
15. გუჯარელაძე გ. 1896 წ. 1922 წ.
16. კიკნაძე გ. ი. 1919 წ. 1920 წ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში

(10 ივლისი).

ჩერვონცები — — —	15,100
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	14,050
ჩეკები —	12,100
დოლარი ეფექტ. — —	3,100
ჩეკები —	2,850
ოსმალური ქაღ. ლირა —	2,230
იტალიური ლირა — —	100
ფრანგული ფრანკი ეფექტ.	155
საბჭ. ფულ. ნიშნებ. —	18 ნახ.

თბილისის ბაზრის ფასები.

(10 ივლისი)

პური თეთრი—80—100 ათ., პური 2 ხარისხ.—50—60 მ., 3 ხარისხ. გირ.—30 მან., ნატეხი შაქარი 640—660, შაქრის ფხვნილი—450-460, ერბო 800 ათ. კარაქი—700—800, სამარხვო ზეთი — 220, ყველი ცხვრის—350 400, მწვანე ლობიო—60—80 ათ., კართოფილი—40 ათ., კომბოსტო—70 ათ., პამიდორი—250 ათ., თეთრი ფქვილი გირ.—100 ათ., აგდაშის ბრინჯი—130. კვერცხი 10 ც.—380.

მუშკოპის ფასები.

(10 ივლისი).

პური 2 ხარ.—45, თეთრი ფქვილი—80 ათასი, აგდაშის ბრინჯი—120, ნატეხი შაქარი—620, კარაქი—960, კართოფილი—40, ძროხის ხორცი—350, თუშური ყველი—460, როსტოვის საპონი—340.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

(10 ივლისს)

გოგირდი „ბუდა“. ყუბანის უმაღლეს, 1, 2 და 3 ხარ. ფქვილი. ქატო. მაკარონი და ვერმიშელი. რკინეულობა. ბარები. ფიცალი. ერბო. შვეიცარული ყველი. ცეილინის ჩაი. მარილის სინდიკატის პროდუქცია. ცემენტის და ეტერნიტი ნოვოროს. სრულიად რუსეთის ტყავის სინდიკატის პროდუქცია. რეზინის ტრესტის რეზინის ნაწარმოებები. ს. მ. უ. ს. საფეიქრო საპნის—ზეთის გამომხდელ ტრესტის პროდუქცია. რუსეთის ფართლეულობა. რუსეთის ასანთი. საპნის სუროგატი. საამშენებლო ლურსმნები, თოკი. საბეჭდავი ქაღალდი 16—24. ამერიკული ფეხსაცმელები. ინგლისური შაბიამანი. ფანჯრის მინები რუსეთის.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

1, 2, 3 და 4 ხარ. ფქვილი. ცემენტი. ნარმა. რკინეულობა. სალებავები ტყავებისათვის. ულტრამარინი. სოდა. ინგლისური თეთრი თუნუქი. საპნის სუროგატი. ინგლისური შაბიამანი- სკიპიდარი თეთრი და ტეხნიკური. ავსტრიული სამუშაო ფეხსაცმელები. ძნის შესაკრავი თოკი. ნახიჩევანის ქვა მარილი. ღვედები. სალამასი. ფანჯრის მინები რუსეთის. ტომრები. შვეიცარიული ყველი.

საქონლის განყოფილების გარიგებანი.

(10 ივლისს)

მარსელის საპონი „ელექტრა“ 24,5 ოსმალური ქაღალდის ლირა ყუთი. 4 ხარ. ფქვილ 1.550.000 მან. ფუთი ტომარით. ცემენტი 1.45 ჩერვონ. ბოჭკა ფრანკო ბათომი—ვაგონი. ყუბანის ფქვილი 1 ხარ. 3.100.000. მან. ფუთი, 2 ხარისხის 2.900.000 მან. ფუთი, 3 ხარ. 1.900.000 მან ფუთი ფრანკო გამყიდველის საწყობი ტომრით.

ტფილისის საქონლის ბაზრის განწყობილება.

(10 ივლისი)

წინანდებულათ მტკიცეთაა უმაღლესი და 1-ლი ხარ. ფქვილი. აწეულია ტეხნიკური ცხიმები. მტკიცეთაა სოდა და ინგლისური შაბიამანი. დანარჩენი უცვლელია.

„არქოს“-ში

7 ივლისს „არკოს“-ის ბათომის განყოფილების მიერ გაიგზავნა ინგლისში გემ „ფრიდეი“-ზე 15 ბოჭკა ჯაგარი, 4388 ტყავი სხვადასხვა საქონლის, 1170 ცალი თხის ტყავი და საფრანგეთში 608 ფუთი ფიროზონეტა.

საზოგადოება არკოსი ნოლაპარაკებას აწარმოებს ტფილისის ტრამვაისთან ტეხნიკური მოწყობილობის საგნების მიწოდების შესახებ.

შირაქის ნავთი.

დღე და ღამის განმავლობაში ამოღებამ 200 ფუთს მიაღწია. ამასთან დაკავშირებით განზრახულია შემოდგომიდან ეს წარმოება გადაყვანილ ქნეს სამეურნეო ანგარიშზე. ს. მ. უ. ის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა სამთომადნო კომიტეტს წარმოადგინოს პრაქტიკული განხორციელების გეგმა.

ს. მ. უ. ს. ეკონომიურ განყოფილებაში.

ეკონომიური განყოფილება ამ ჟამად იხილავს საკითხს ს. მ. უ. ს. 1923 წლის 1-ლი ნახევარის მუშაობის ანგარიშის გამოცემის შესახებ.

საგარეო-სამრეწველო ბანკის შესახებ.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო კვლავ დაბეჯითებით მოითხოვს სავაჭრო სამრეწველო ბანკის დაარსებას. ს. მ. უ. ს. შუამდგომლობა ირჩეოდა ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის საფინანსო-ეკონომიურ ბიუროს თათბირზე და აღნიშნულ თათბირზე ის მოწონებული იქნა.

ს. მ. უ. ს. შუამდგომლობა.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაბეჯითებითი შუამდგომლობა ა. წ. 1-ლ იანვრიდან ჩამორთმეულ წარმოებების დაბრუნების შესახებ, კვლავ გადასინჯული იქნება და უნდა ვიფიქროთ, რომ ის ს. მ. უ. ს. სასარგებლოდ გადაწყდება.

სამთომადნო განყოფილების გამოკვლევები.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა გამოსცეს სამთომადნო განყოფილების გამოკვლევები ტყიბულის ქვა-ნახშირის მდებარეობისა, გორის მიწისძვრისა და სხვათა შესახებ.

ს. მ. უ. ს. სათბობი მასალის განყოფილებაში.

სათბობი მასალის განყოფილებისათვის ტყიბულისა და შრომის მრეწველობის წარმოებების გადაცემის გამო, სათბობი მასალის განყოფილებაში რეორგანიზაცია ხდება და ის გადაკეთებული იქნება საწარმოო-სავაჭრო სათბობი მასალის კომბინატად. შრომის ქარხანა თავის დამხმარე წარმოებებით გამოყოფილი იქნება და გადაეცემა სამთომადნო განყოფილებას.

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმში.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა ნება დართო სათბობი მასალის განყოფილებას, მიიღოს შეფობა ქუთაისის სამაზრო პარტიულ სკოლაზე.

პურის მოსავალი ევროპის გარეშე ქვეყნებში.

ჩრდილოეთ აფრიკაში და კერძოდ ალჟირში ცვალებადი ამინდი სდგას, მაგრამ საერთოდ პურის მოსავლისათვის ის ხელის შემწყობია; მოსალოდნელია კარგი მოსავალი. სამხრეთ აფრიკიდან მიღებულ უკანასკნელ ცნობების თანახმად იქ პურის კარგ მოსავალს ელიან.

ინდოეთში დიდმა წვიმებმა გავლენა იქონიეს სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირებზე. მთავრობის საბოლოო გამოანგარიშების მიხედვით პროვინცია ფენჯაბში უკვე შეგროვილი პური გამოიხატება 280.674.000 ფუთში, რაც შარშანდელ მოსავალზე მეტს შეადგენს. ჩრდილოეთ-დასავლეთის სანაპირო პროვინციების მოსავალი გამოანგარიშებულია 18 352 000 ფუთში, რაც აგრეთვე მეტია შარშანდელ მოსავალზე.

სამხრეთ ავსტრალიის მოსავალი გამოიხატება 47.475.000 ფუთში, 6 მილიონ ფუთით მეტი შარშანდელ მოსავალზე.

არგენტინაში, ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილში, ამინდი ხელს უწყობს პურისა, ქერისა და სელის მოსავალს. სამხრეთ ნაწილში გვალვაა. კანადაში, მაისის ბოლო რიცხვებში მიღებულ ცნობების თანახმად, მინდვრების 95 პროც. უკვე დათესილია საგაზაფხულო პურით. ნათესების სივრცე დაახლოვებით უდრის შარშანდელ სივრცეს. ძველი მოსავალის პურის გაგზავნა ნავთსადგურებში ინტესიურად მიმდინარეობს. 1923 წლის 31 მარტამდის გატანილია 277.157.000 ფუთი ხორბალი და ფქვილი, რომელთაგან 227.907.000 ფუთი გაგზავნილია ინგლისში. გატანა აღნიშნული პერიოდის განმავლობაში შესამჩნევად აღემატება წარსული სეზონის იმავე პერიოდის გატანას.

შეერთებულ შტატებში თუმცა ამინდი ხელს არ უწყობს ნათესებს, მაგრამ მიუხედავად ამისა ფიქრობენ, რომ ამ წელში თუ არა მომავალ წელს მაინც ჩრდილოეთი ამერიკა იქნება ისევ პურის მთავარი მიმწოდებელი საერთაშორისო ბაზარზე.

შეერთებულ შტატებიდან, კანადიდან, ავსტრალიიდან, არგენტინიდან და სხვა ქვეყნებიდან 1923 წ. 17 მაისამდე გაგზავნილია ევროპაში სულ 764 მილიონი ფუთი ხორბალი და პურის ფქვილი.

რომის მეცნიერული ორგანიზაცია

ართველოს შრომის მეცნიერულ ასოციაციის მასალების მიხედვით)

სკოლების რეორგანიზაცია

მდინარე საუკუნეში,—რაციონაზის, ეკონომიკის და ორგანიზა საუკუნეში—ბუნებრივია შკოთვის ისეთი მოთხოვნილების ნება, რომ მინიმალური ძალების რომის დახარჯვით შკოლა ღეობდეს უდიდეს პრაქტიკულ შე. აქედან ლოღიკურად გამომინარეობს შკოლის ამოცანები: თვით სპეციალობისათვის საჭიროა მოლების შერჩევა, შემდეგ შკოლის ის დაყენება უნდა მოხდეს შრომეცნიერულ ორგანიზაციის პრიების მიხედვით. და ბოლოს საოა მოწაფემ პრაქტიკულად გაყენოს მიღებული განათლება მის ოვრებაში. ჩვენ დღეს ასეთი რამ მოგვეპოება, სპეციალობის არჩემთხვევითია, შკოლაში შესვლის კოლიდან გამოსვლის დროსაც. არ უწევს ანგარიშს მოსწავმიდრეკილებებს, და არ იძლევა ლა დამთავრებულ ახალგაზრდოფსიქო ფიზიკურ თვისებათა შებას, არ ახდენს პროფესიათა შეას და ამგვარად ხელს უწყობს აფერებელ პირთა კადრის ზრდას. ებით რა ეხლა შკოლის საქმის ებას—ვხედავთ, რომ ეს შკოლა ს, რომ მოსწავლე ვერ ითვინამდვილ კულტურის ორგანიულ საფუძვლებს, ვინაიდან ჩვენ ებში დრო საკმაოდ ინტენსიურ რ არის გამოყენებული.

ი შკოლა ხომ გამოცდების, ჩას ჩაბარებას და პრაქტიკულ შესრულებას მოითხოვს, ი როგორ არის შესრულებული მუშაო, როგორია მისი მეთოდი ჩვენი დროის მასწავლებელს ებით არ აინტერესებს.

საკუთრებით უნუგეშო მდგომაში შკოლაში მიღებულ ცოდ პრაქტიკაში გამოყენების საქმე. ზე ნათლად ეს წინააღმდე შკოლასა და ცხოვრებას შონდება ტეხნიკურ უმაღლეს საებელში.

ახალგაზრდა ინჟენერმა, რომელიც ქარხანაში შედის, თავიდან უნდა შეისწავლოს ყველაფერი. ბოლოს ინჟენერმა ხშირად არ იცის ეკონომიკა, ხელფასის საკითხი, საწყობების საქმე და სხვა.

ამიტომ საჭიროა ამა თუ იმ მოსწავლის თანდაყოლილ თვისებათა და მიდრეკილებათა შესწავლა შკოლაში შესვლის დროს; გამოყენებული უნდა იქნეს ამისათვის ფსიქოტეხნიკა, რომელიც დასავლეთ ევროპაში ფართოთ არის დაყენებული. ავიღოთ საფრანგეთი, სადაც შკოლებში მიღება სწარმოებს გარდა საექიმო გასინჯვისა ანტროპომეტრიული და ფსიქოტეხნიკური გამოკვლევის შემდეგ,—ავიღოთ გერმანია, სადაც თვითეულ მოსწავლეში არკვევენ ცნებათა სიმდიდრეს, მსჯელობის სისწორეს, მეხსიერებას, დაკვირვების უნარს და სხვა.

ამხ. მიხაილოვის აზრით, საჭიროა საკუთარი მეთოდიკის შექმნა რომელიც არ დაკმაყოფილდება მხოლოდ შერჩევით და გადარჩევით, არამედ აღზრდის მოსწავლეში შრომის უნარს და აშკარად ყველაზე ჩამორჩენილ მოწაფეს დააწინაურებს, თუ რომ მოხერხებულად მიუდგება მას. მაგრამ ამისათვის საჭიროა მთელი შკოლის გადაკეთება უნდა შეიცვალოს მთელი მისი სადისციპლინო სისტემა, გამოცდების და ჩათვლების მეთოდიკა, მაშინ ახალგაზრდა ორგანიზმი, ბავშვის მთელი ფსიქიური სტრუქტურა აიზრდება შრომის კულტურის ატმოსფერაში. ეხება რა საკითხს თეორიის და პრაქტიკის ერთმანეთთან დაახლოვების შესახებ, ამხ. მიხაილოვი წინადადებას იძლევა შესწავლილ იქნეს არა მარტო ამერიკის გამოცდილება, სადაც შკოლა და ქარხანა მჭიდროთ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან, არამედ საბჭოთა გამოცდილებაც, შრომის ცენტრალურ ინსტიტუტის პრაქტიკა, რომელმაც მთელი რევოლიუცია მოახდინა პროფგანათლების საქმეში.

დასკვნაში ამხ. მიხაილოვი საჭიროთ სთვლის შკოლაში მოხდეს ის გარდატეხა, რომელიც მას მთელის და რომელსაც მოითხოვს ჩვენი აღმშენებლობა ახალი ხალხის კადრის შესაქმნელად.

ცხოვრების აღმშენებლობაში მუშის თანამედროვე როლის მიხედვით შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხი იღებს ამ მუშისათვის ბრძოლის ფორმებს ადამიანის ახალი ტიპის, ახალი შრომის კულტურულ საფუძვლების შექმნისათვის. ამ პრობლემას ვრცლად ეხება ა. გასტევის ორი წიგნაკი: „კულტურის აღზრდა“, და „თანამედროვე კულტურის შექმნა“, პრაქტიკული შესწავლა კი შეიძლება დავიწყოთ ქ. კეჟრევის ბროშიურიდან: „ცოცხალი მანქანა“ და ა. გასტევის წიგნაკიდან: „როგორ უნდა ვიმუშაოთ“, რომელიც იძლევა მშვენიერ მასალას შრომის რაციონალური ორგანიზაციის ელემენტარულ წესების განსახორციელებლად.

გონიერმა მუშაკმა კარგად უნდა იცოდეს ჰიგიენის ძირითადი პრინციპები; ამ მხრივ კარგია ვიგდორჩიკის ბროშიურა, „ნორმალური შრომა“ და ს. კაპლუნის წიგნაკი, „შრომა და ჯანმრთელობა“, განსაკუთრებით კი ბ. სტეპანცევის შრომა: „შრომის ფიზიოლოგია“. არ შეიძლება უყურადღებოთ დავსტოვოთ ფსიხო-ტეხნიკის საკითხები. შლეზინგერის წიგნი: „ფსიხო-ტეხნიკა და მეცნიერება წარმოებაზე“ იძლევა საერთო წარმოდგენას ამ საკითხზე შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის პრობლემის მიხედვით, ხოლო ფ ბაუმგარტენის შრომა „ფსიხო-ტეხნიკა“ დიდძალი კონკრეტულ მასალებით, გვაძლევს საშუალებას, დავრწმუნდეთ ფსიხო-ტეხნიკური გამოკვლევათა მეთოდების სარგებლობაში. უნდა ავღნიშნოთ კიდევ ბ. მიუნის, სტერნბერგერის, ბ. ბეხტერევის, და გ. მედეს „წერილთა კრებული ექსპერიმენტალურ ჰსიქოლოგიის შესახებ“. რაც შეეხება წარმოების საკითხებს, შეგვიძლია მიუთითოთ ტეილორის სისტემაზე, რომელიც მოყვანილია ბეზპროზვანის ბროშიურაში „ამერიკულ ქარხნების თანამედროვე ორგანიზაცია“. საინტერესოა აგრეთვე ს. გლებოვის წიგნი: „ტეილორი და მისი შრომები“. მაგრამ სერიოზულ მკითხველს საჭიროა მიუთითოთ თვით ტეილორის კაპიტალურ შრომაზე: „სამრეწველო წარმოებათა ადმინისტრატიული, ტეხნიკური ორგანიზაცია“.

მოკლეთ და საინტერესოთ არის დალაგებული რიდელის მიერ „წარმოებაში შრომის ორგანიზაციის საფუძვლები“ და აგრეთვე პიოლუნკოვსკის მიერ მდიდარი მასალა „ამერიკაში ფორდიზმის“ შესახებ. საბჭოთა რესპუბლიკებში შრომის ორგანიზაციის საკითხების შესწავლა ჩვენ უნდა დავიწყოთ ნ. ლენინის ბროშიურებით: „როგორ უნდა მოვახდინოთ მუშათა და გლეხთა ინსპექციის რეორგანიზაცია და „лучше меньше, да лучше“ და რუსეთის კომპარტიის მე-12 ყრილობის რეზოლიუციები. საჭიროა ავღნიშნოთ აგრეთვე კოჟენცოვის წერილთა კრებული „მმართველობის ტეხნიკის მეცნიერული ორგანიზაცია“ და მისივე ახალი შრომა „ორგანიზაციის პრინციპები“.

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის პრობლემის გაშუქებას, სოციალურ ურთიერთობათა მიხედვით, იძლევა მ. რუბენშტეინის წიგნი „თანამედროვე კაპიტალიზმი და შრომის ორგანიზაცია“ მაგრამ ისეთი წიგნი, რომელიც მოკლეთ და მკაფიოთ გააშუქებდა შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის თანამედროვე პრობლემას, ჯერ-ჯერობით არ მოიპოვება. ასეთად არ შეიძლება ჩაითვალოს დ. ხლებნიკოვის წიგნი „შრომის მეცნიერული ორგანიზაცია“. გარდა აღნიშნულ წერილებისა და სხვა აღნიშნულ მასალებისა, შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის შესახებ, მასალები მოიპოვება აგრეთვე, შრომის ცენტრალურ ინსტიტუტის ჟურნალში „შრომის ორგანიზაცია“ და აგრეთვე შრომის ცენტრალურ ინსტიტუტის პრესბიუროს მასალებში, რომელიც ხშირათ თავსდება მოსკოვის „პრავდა“-სა და „ტრუდ“-ში.

შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის ასოციაციაში.

პირველი კონფერენცია შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის გამო მოწვეული იქნება ხუთშაბათს 12 ივლისს, საღამოს 7 საათზე შრომის სასახლის დიდ დარბაზში. დღის წესრიგშია: ინფორმაცია საქართველოს შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის ასოციაციის მუშაობის შესახებ სკოროდუმოვის მოხსენება „შრომის პროცესის რაციონალიზაცია“, მიხაილოვის მოხსენება „წარმოების მეცნიერული ორგანიზაცია“, და ლ. ავენირის მოხსენება „მმართველობის საკითხები და შრომის მეცნიერული ორგანიზაცია“. კონფერენციაზე მიწვეული არიან: სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს კოლეგია და მის განყოფილებათა და ტრესტების წარმომადგენლები, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმში, ყველა პროფკავშირების ცენტრ. გამგეობათა წევრები, ინჟინერთა ცენტრალურ ბიუროს ცენტრ. ბიუროს პლენუმი, ყველა სახ. კომისარიატების კოლეგიების წარმომადგენლები და სხვა.

ასოციაციის პრეზიდიუმში.

რადგან ახლოვდება სრულიად რუსეთის შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის ყრილობის მოწვევის ვადა, გადასწყდა შემუშავებულ იქნას ასოციაციის პრინციპიალური პლატფორმის პროექტი შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის ძირითად პრობლემების მიხედვით, ყრილობისათვის წარსადგენათ. პრეზიდიუმმა დაადგინა შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის საექიმო სექციის ნაცვლად დაარსდეს შრომის შესწავლის სექცია და ამ სექციაში შეყვანილ იქნან გარდა ექიმებისა შრომის დაცვის მუშაკნი და პედაგოგები.

შემდეგ პრეზიდიუმმა გამოიმუშავა დებულება ასოციაციის წევრ კორესპონდენტების შესახებ საბჭოში დასამტკიცებლად. ასოციაციის პრეზიდიუმი ფიქრობს დააწესოს კონტაქტი ფაბრიკა-ქარხნების შეგირდების შკოლასთან. ასოციაციის მდივანმა ინახულა ფაბრიკა-ქარხნების შეგირდების ცენტრალური შკოლა ამხ. კამოს სახელობის. შკოლის ცუდი მდგომარეობის გამო ჰიგიენური პირობების მხრივ, ასოციაციის წარმომადგენელმა ურჩია შკოლის გამგეს შეიძინოს მასალები შრომის ცენტრალურ ინსტიტუტში სწავლების შესახებ, რაც დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი.

შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის ასოციაციის საბჭოს სხდომა.

4 ივლისს, ექიმ სკოროდუმოვის მოხსენების გარშემო გამართულ კამათის შემდეგ, მოსმენილ იქნა პრეზიდიუმის ანგარიში, რომლის მიხედვითაც გადასწყდა, რომ პრაქტიკულ ღონისძიებებს ასოციაცია განახორციელებს მხოლოდ ადგილებისაგან სათანადო ინიციატივის გამოჩენის შემდეგ.

მოხსენებანი და ლექციები.

ასოციაციის ინიციატივით 29 ივნისს, საექიმო საზოგადოებაში ექიმმა სკოროდუმოვმა გააკეთა მოხსენება „შრომის მეცნიერული ორგანიზაცია ექიმებისათვის და ექიმები შრომის მეცნიერული ორგანიზაციისათვის“. მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ეკონომიურ თათბირში 28 ივნისს ასოციაციის მდივანმა ა. მიხაილოვმა გააკეთა მოხსენება „წარმოებაში შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის გამოყენების შესახებ“.

30 ივნისს ავტო-სახელოსნოებში № 3 ინჟ. მარკარიანმა წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: „შრომის ორგანიზაცია ტეილორის სისტემის მიხედვით“.

ლექციას დაესწრო 125 მუშა. ლექციით გამოწვეულ ინტერესის გამო მეღვინეთა კავშირი ახლო მომავალში აწყობს მოხსენებას შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის შესახებ ყველა მუშა მოსამსახურეთათვის.

საქონლის მანეთის კურსი

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატიდან.

აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 1923 წ. 8 ივლისისათვის ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს ამა წლის 17 მაისის დადგენილება № 52-ის საფუძველზე, ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული კომისია ამით აცხადებს, რომ აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 10 (ათი) მანეთის ფასობის კვალობაზე (ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატის საბიუჯეტო ინდექსის მიხედვით) ა. წ. 8 ივლისისათვის განისაზღვროს 27.378.000 (ოცდა შვიდი მილიონი, სამას სამოცდა თვრამეტი ათასი მან.)

ამავე რიცხვისათვის საქონლის 1 მან. ღირებულება განისაზღვროს 2.738.800 (ორი მილიონი, შვიდას ოცდა ჩვიდმეტი ათასი, რვაასი მანეთით) ა.-კ. ფულის ნიშნებში.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი ლ. დუმბაძე.

საერთო-საორგან. განყ. გამგე ლ. ქურდოვანიძე.

მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის მსვლელობა საქართველოში

(საქართველოს სახალხო სახურსათო კომისარიატის ცნობები)

საერთო სურათი

წინასწარი მუშაობა მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის განსახორციელებლად საქართველოში წარმატებით და განსაკუთრებულის სისწრაფით მიმდინარეობს ყოველგვარი ზომებია მიღებული, რომ ამ ახალს და რთულს საქმეში რაიმე შეცდომები არ იქნეს დაშვებული. ამ საქმისადმი დიდს ყურადღებას იჩენს როგორც ცენტრი, ისე ადგილები. ადგილებში მომქმედს მუშაკებს სავსებით შეგნებული აქვთ ამ დიდის სახელმწიფოებრივის საქმის მნიშვნელობა და ძალღონეს არა ზოგავენ საქმის გამარჯვებით დასაგვირგვინებლად. თვით დეკრეტიც მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ, როგორც ადგილებიდან იტყობინებიან, თანაგრძნობას იწვევს გლეხებში, რომელნიც აღნიშნავენ, რომ ახალი გადასახადი მათთვის ბევრად ადვილი და საიოლოა, ვიდრე წარსულის წლების გადასახადები.

აღმოსავლეთს საქართველოში.

მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგვრ ობიექტების აღნუსხვა აღმოსავლეთს საქართველოში ივნისის 15-სთვის დასრულდა. სამაზრო საგადასახადო სამეულები შეუდგნენ სასოფლო სიების შემოწმებას და შესწორებას. ამ შემოწმების დროს სამეულები სარგებლობენ სასტატისტიკო ცნობებით, უკანასკნელ საადგილ-მამულო აღწერის მასალებით და წარსულ საგადასახადო კამპანიების დროს შეგროვილ მასალით. ამას გარდა ზოგიერთს ცალკე შემთხვევაში სამეულები ფაქტიურად ადგილობრივად ამოწმებენ მეურნეების მდგომარეობას.

ადგილებში მუდმივად მუშაობენ ცენტრის მიერ დაგზავნილი გამოცდილი ინსტრუქტორები და საგადასახადო ინსპექტორები, რომელნიც თავის მხრით, მიუხედავად სამეულებისა და სამაზრო სასურსათო კომისარების მოხსენებებისა, ცენტრს მუდმივად აწვდიან ცნობებს, როგორც წერილობით, ისე სიტყვიერად ადგილებში მუშაობის შესახებ. ისინივე ახსნა-განმარტებას აძლევენ ადგილებში მომუშავეებს, თანახმად ცენტრის დირექტივებისა და ამ მხრივ ისინი წარმოადგენენ ერთგვარს ცოცხალს რგოლს ცენტრსა და ადგილებს შორის.

ამ ჟამად თითქმის მთელს აღმოსავლეთს საქართველოშია დასრულებუ-

მუშათა ცხოვრება

მოწოდება ამხ. მუშებს

ა. წ. 14 ივლისს გაზეთ „კომუნისტი“-ს მუშკორების ხელმძღვანელობით გაიმართება ნაძალადევის თეატრში ამავე გაზეთის მუშკორის, ვასო რონიშვილის, სასარგებლოდ საღამო წარმოდგენით. წარმოდგენილი იქნება **ალ. ბეჟიაშვილის** პიესა „**სისხლის მსხვერპლი**“ (დრამა 3—მოქმედებად). წარმოდგენის შემდეგ გაიმართება დივერტისმენტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ხსენებულ გაზეთის მუშკორები და მუშა მგოსნები: ვასო რონიშვილი, გიორგი ხეჩუაშვილი, გიორგი შინატიხილი, ს. ხიდისთაველი, შაქრო ნავთლუღელი, ი. ელიაშვილი, გ. ჩარხიშვილი, დევაძე და რომანოზ სალაყაია, რომელიც წაიკითხავს იმერულ კუპლეტებს. ბაღში დაუკრავს ორკესტრი. იმედია ამხანაგი მუშები არ დასტოვებენ უყურადღებოდ კომისიის მოწოდებას და შეძლებისდაგვარად ხელს შეუწყობენ ხანგრძლივ შრომით მოქანცულ ამხ. რონიშვილს და შესაფერისად შეხვდებიან ამ საღამოს.

საღამოს მომწყობი კომისია.

ჩვენს მუშკორებში

კვირას, 8 ივლისს გაზ. „კომუნისტის“ რედაქციაში შესდგა ამავე გაზეთის თანამშრომელ მუშკორების მორიგი კრება. დღის წესრიგს შეადგენდა: 1) სამეცნიერო ექსკურსიის მოწყობა თბილისის ბოტანიკურ ბაღში, 2) გაზ. „კომუნისტი“-ს გავრცელება; 3) მუშა-კორესპონდენტის ამხ. ვასო რონიშვილის საღამო.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. მალაშხიამ, რომელმაც განუმარტა ამხ. მუშკორებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ექსკურსიებს მეცნიერული მიზნით. კრება თანაგრძნობით შეხვდა ამ სასარგებლო განზრახვას და დაადგინა: მოეწყოს მომავალ კვირას 15 ივლისს, სამეცნიერო ექსკურსია თბილისის ბოტანიკურ ბაღში, რისთვისაც ეთხოვოს გაზეთ „კომუნისტი“-ს თანამშრომელს ამხ. ვ. ბუაჩიძეს, როგორც სპეციალისტს ბოტანიკს გაუწიოს ექსკურსიას ხელმძღვანელობა.

გაზეთ „კომუნისტი“-ს გავრცელების შესახებ მოხსენებას აკეთებს იგივე ამხანაგი, რომელიც აღნიშნავს ჩვენი გაზეთის მნიშვნელობას მუშათა გათვითცნობიერების საქმეში და მოუწოდებს ამხანაგ მუშებს მუშათა წრეებში ფართოდ დააყენონ გაზეთ „კომუნისტი“-ს გავრცელების საქმე. მოხსენების გამო კრებამ გადაწყვიტა ყოველმა მუშკორმა იკისროს ჩვენი გაზეთის კოლლექტიურ ხელმოწერის მოწყობა თავ-თავიანთ უბნებში.

უკანასკნელი საკითხი შეეხებოდა ამხ. რონიშვილის სასარგებლოდ საღამოს მოწყობას. საინფორმაციო ხასიათის მოხსენება გააკეთა საღამოს მომწყობმა კომისიამ, რომელსაც უკვე მიუღია ზომები საღამოს მოსაწყობად. მიღებულია ნებართვა „**ნაძალადევის**“ თეატრით სარგებლობაზე 14 ივლისისათვის, შეპირებულნი არიან საღამოში მონაწილეობის მისაღებად მწერლები და მსახიობები. საღამო იქნება სხვადასხვა განყოფილებებით (წარმოდგენა, დეკლამაცია, სიმღერა).

დასასრულ მუშკორებმა წაიკითხეს თავიანთი წერილები, ლექსები და სხვა, რომელთა მოსმენისა და გარჩევის შემდეგ კრება დაიშალა.

დამსწრე.

რკინ. გზის დეპოს სასადილო № 2

მშვენიერი სანახავია მთავარ სახელოსნოს და დეპოს შუა ლამაზი და სუფთად მოწყობილი მუშათა სასადილო.

მართლაც მოგეწონებათ წესიერება, რომელიც აქ სუფევს. აქ სადილობენ დეპოს და მთავარ სახელოსნოს მუშები დაკლებულ ფასებში. სასადილოს გვერდით საუცხოვოდ მოწყობილია საპარიკმახეროც ადგილობრივ მუშებისათვის.

ასე, რომ სასადილოზე ცუდი რამ არ ითქმის საზოგადოდ, მაგრამ ერთ არა სასურველ მოვლენას აქაც აქვს ადგილი. საქმე შემდეგშია:

გარდა მზარეულისა სასადილოში მუშაობს დილის 5—ს. საღამოს ხუთსაათამდე დაუსვენებლივ 6 მუშაქალი. შრომის ხელფასს ისინი ღებულობენ 9—მილიონიდან—10—მილიონ მანეთამდე თვეში. ერთი სიტყვით შრომის ექსპლოატაცია სასადილოში აშკარაა. მე მაკვირვებს და ვერც წარმომიდგენია რევოლიუციის აკვანი (დეპო) და შრომის ექსპლოატაცია.

საჭიროა ყურადღება მიექცეს აქაურ მუშა ქალებს და მოეღოს სასწრაფოდ ბოლო მათი შრომის ექსპლოატაციას.

მუშკორი ვასო რონიშვილი.

მუშათა ცენტრალურ კლუბში

3 ივლისს აქ მოეწყო პირველი სიმფონიური კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდნენ აკადემიური ორკესტრის ძალები, რიცხვით 60 კაცი. კონცერტს ხელმძღვანელობდა ივანე ფალიაშვილი, რომელმაც შეასრულა ორ განყოფილებაში რუსეთის და ევროპის კომპოზიტორების ნაწარმოებები.

კონცერტმა მშვენივრად ჩაიარა, მხატვრულათ შესრულებული იქნა ყველა პიესები, რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე. ხალხი აუარებელი დაესწრო, კლუბის ადმინისტრაცია იძულებული იყო ორ სალაროში გაეყიდა ბილეთები. უნდა აღინიშნოს, რომ მუშები შედარებით ცოტა დაესწრო კონცერტს, რაც სამწუხაროა.

საჭიროა, ადგილობრივ ქარხანა-სახელოსნოებში და წარმოებითი დაწესებულებებში კულტ-უჯრედებმა გასწიონ მუშათა შორის აგიტაცია, რათა მუშები ბლომად ესწრებოდნენ ასეთ სიმპატიურ და სერიოზულ კონცერტებს, რაც მათ მისცემს სულიერ საზრდოს, ხელს შეუწყობს მათ ესტეტიური გრძნობის ამაღლება—განვითარებას.

მცირე კონცერტი შესდგა ოთხშაბათს, 4 ივლისს, შინაარსიანი პროგრამით, ივ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით ღებულობდა მონაწილეობას სახელ. ოპერის მსახიობი იხეცკი. კონცერტმა მეტად კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. მუშათა კლუბში კონცერტების მოწყობა დიდი გამარჯვებაა მუშათა ხელისუფლებისა.

მუშკორი ი. ელიაშვილი.

მუშათა ქრონიკა.

დამზღვევ კასაში.

— **გამოცემულია ინსტრუქცია,** რომლის ძალით საკურორტო სამართველოს ექიმები საექიმო დახმარებას უწევენ მხოლოდ სანატორიულ ავადმყოფებს.

— **აფთიაქი მუშა-მოსამსახურეთათვის.** ვინაიდან დასასვენებლად წასული მუშა-მოსამსახურენი მოკლებული იყვნენ საექიმო და სამკურნალო დახმარებას, მიღებულია ზომები პატარა აფთიაქის მათთვის გახსნისათვის.

— **დამზღვევ კასის პრეზიდიუმა,** სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებთან შეთანხმებით, დაადგინა—ყველა სამკურნალო და საექიმო დახმარება კურორტზე მყოფ მუშა-მოსამსახურეთ გაუწიოს თვით ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა.

— **სპეცსამკურნალო დახმარება,** როგორიც არის ელექტრობა, ტალახი და ვანა, სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის გამო განსაზღვრულია.

ავადმყოფებს უფასოდ ეძლევათ დღეში 5 ვანა ექიმების რეცეპტის მიხედვით.

დანარჩენი ექიმობა იქნება დაკლებულ ფასებში.

ლი სასოფლო სიების შემოწმება და გამოყვანილია საერთო ჯამი თვითეულ მაზრაში აღმოჩენილ სახნავისა, ვენახისა, საქონლისა და სხვა... ეს ჯამები უკვე გაგზავნილია ცენტრში. ზოგიერთს მაზრაში უკვე კიდეც შეუდგნენ სხვადასხვა გვარ მიწის გადატანას სახნავზე და სხვადასხვა საქონლის გადაყვანას მსხვილფეხა საკლავ საქონელზე.

დასავლეთ საქართველოში.

დღემდე უმთავრესი ყურადღება მიქცეული ჰქონდა აღმოსავლეთს საქართველოს, ვინაიდან დასავლეთს საქართველოში, სადაც მოსავალი უფრო გვიან მოდის, ვიდრე აღმოსავლეთს საქართველოში, სასოფლო სიების შედგენის ვადა ინსტრუქციით უფრო გვიან არის დანიშნული, სახელდობრ აგვისტოს 16 სთვის. ამის მიუხედავად დასავლეთ საქართველოშიაც უკვე არის დაწყებული წინასწარი საგადასახადო მუშაობა, დაარსებულია სამაზრო საგადასახადო სამეულები და დაგზავნილია თემებში დეკრეტი და ინსტრუქციები მთლიან სასოფლო სამეურნეო გადასახადის შესახებ, ზოგიერთს მაზრაში კი, მაგალითად ახალ სენაკისა, ზუგდიდისა, რაჭისა და შორაპნისაში უკვე დაწყებულია სასოფლო სიების შედგენა.

ცენტრში.

ადგილებიდან ცენტრმა უკვე მიიღო ცნობები მოსავლის პირის შესახებ, მოსავლის აკრეფასა და რეალიზაციის ვადის შესახებ და საქონლის ეკვივალენტების შესახებ.

რესპუბლიკანურმა საგადასახადო კომისიამ უკვე შეიმუშავა პროექტები: 1) მოსავლიანობის ხარისხისა აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ ადგილებისათვის (დეკრეტის მე 8 მუხლი), 2) გადასახადის ჩაბარების ვადისა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, 3) ფუთ ხორბლის საქონლის ეკვივალენტებისა და 4) საპროცენტო ანარიცხის რაოდენობისა მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად (შენახვა სკოლებისა, საავადმყოფოებისა, გზებისა, ხიდებისა და სხვა).

ცენტრმა ადგილებს დაუგზავნა ცირკულიარული განკარგულებანი იმ წესის შესახებ, რომლითაც სისხლის სამართალში უნდა იქმნენ მიცემულნი ისინი, ვინც დასაბეგვრ ობიექტებს დამალავს, ან გადასახადის გასტუმრებას გაექცევა, აგრეთვე გაუგზავნა ა/კ. ცენტრ. აღმასკომისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება გადასახადის არა პირიან გადამხდელთა ადმინისტრატიულის წესით დასჯის შესახებ. ამ ჟამად ეგზავნებათ შეწერილობითის ფურცლების ბლანკები.

ცენტრში სწარმოებს აღნუსხვა ადგილებიდან მიღებულ ცნობებისა იმ სტიქიურ უბედურებათა შესახებ, რომელიც ამა თუ იმ რაიონ დაატყდა.

ცხენთა საჯიშოების სამმართველო.

ცხენთა საჯიშოების სამმართველოს მიერ საანგარიშო თვის განმავლობაში დათვალიერებულია და გამოკვლეული გამაგრილებელი პუნქტები ადგილობრივ სამხრეთ ოსეთში, გორში, ახალ სენაკში და ახალ ციხეში. დაეგზავნა ყველა გამაგრილებელ პუნქტს ცირკულიარული განკარგულება აწარმოონ აღრიცხვა დაგრილებულ ცხენების.

მაისში გრძელდებოდა საგაზაფხულო ცხენთა შეჯიბრება, რომელშიაც მონაწილეობდა 81 ცხენი; გათამაშებულია 1,763,000,000 მან. პრიზები აქედან საქართ. ცხენთა საჯიშოებმა აიღეს 915,250,000 მანეთი.

ცხენთა შეჯიბრების კომიტეტის მიერ დადგენილია გაგრძელდეს ცხენთა შეჯიბრების სეზონი ივლისამდე.

შეძენილია მედიკამენტები კულაშის ცხენთა საჯიშოების ცხენებისათვის, მიღებულია საჩუქრად აქ კავკასიის საგანგებო კომისიისაგან ერთი ფაშატი 3 წლისა თავის კვიციანათ.

სწარმოებდა ტფილისის ცხენთა საჯიშოების თავლის შეკეთება.

სამმართველოში მზადდებოდა მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის ექსპონატები.

შინა მრეწველობის განყოფილება.

შინა მრეწველობის განყ. მუშაობა შემდეგში გამოიხატა:

საფეიქრო სახელოსნოებში დამზადდა 1.161,5 არშინი მაუდი, და 758,5 ბამბის მატერია. სამღებრო სახელოსნოში მოთელილია 3,265 არშ. შემდგარია ამ რიცხვიდან 501 და ერთი მეოთხედი არშინი, სულ—2,763 სამი მეოთხედი არშ. შეღებილია ქიმიურად სახალათო ნართი 11 გირ. 12 მისხალი. ბამბისა და შალის ნართი 19 გირ. სადურგლო სახელოსნოში დამზადებულია საფეიქრო დაზგა, რომელიც გადიგზავნა სვანეთში, ერთი სამაქოე, 20 კოჰი, 20 ცალი ქალი და სხვა და სხვა გვარის სადურგლო სამუშაო. დამთავრებულა შეკეთება განყოფილების დაზგებისა, შენობის და სხვა. თეთრეულობის სახელოსნოში დამზადებულია 122 ცალი თეთრეული. სამკერვალოში დამზადებულია შარვლები, ხალათები, ხურჯინები და სხვა.

სახალიჩე სახელოსნოში დამზადებულა ხალიჩის ქსოვილი 914 კვ. მეტრი.

სასოფლო მეურნეობა

სატყეო განყოფილება.

საანგარიშო თვეში სატყეო განყოფილება შემდეგ მუშაობას აწარმოებდა: ტყეების მოსაწყობად შედგენილია და ყველა ტყის გამგესთვის გადაგზავნილია ინსტრუქცია და გეგმა. მიმდინარე ზაფხულის განმავლობაში ტყეების მოწყობა აწარმოებს განსაკუთრებული წესით. ამავე საჭიროებისათვის გაეგზავნათ მათვე ერთვერსიანი რუქები, რომელზედაც აღნიშნულია, როგორც აგარაკების, ისე აგრეთვე სასარგებლო ადგილების საზღვრები.

მცხეთის სატყეოში შესრულებულია ზოგიერ აგარაკების აღწერა წინასწარ ინსტრუქციის მიხედვით და შედგენილია მეურნეობის გეგმა.

საანგარიშო თვეში მასალა ტყეების სტატისტიკის შესახებ გადაეცა კომისარიატის სტატისტიკურ განყოფილებას, რომელიც მომავალში აწარმოებს ამ საქმეს. ტყეების საცდელ საკულტურო დარგში საანგარიშო თვის განმავლობაში შესრულდა შემდეგი მუშაობა: სანერგეში გადაირგა პირველ კვალიდან ტყის ლიმონი მე 6 კვარტალში რიცხვით 200 ცალი, გადაირგო აკაცია მე 4 კვარტალიდან პირველში 300 ცალი.

სატუსალოს საზღვართან გამართულ იქნა ცოცხალი ღობე 150 საჟენზე. ტყეების საექსპლოატაციოთ დადებული იქნა მასალის დამზადებაზე სამი ხელშეკრულება, სამურზაყანოს აღმასკომთან, დუშეთის აღმასკომთან და მესამეც კერძო პირთან, ხელშეკრულებების ძალით განყოფილება შემოდის 900 ჩერვონცის მანეთით. ამავე ხნის განმავლობაში წარდგენილია კომისარიატის სალაროში 9 259. 328 000 მანეთი. მათ შორის ხელშეკრულების მიხედვით 8,889 328,000 სატყეოებიდან შემოსავალი 380 000000

საანგარიშო თვის განმავლობაში მოხდა კახეთის რაიონის სატყეოების რევიზია. გარდა ამისა მოწესრიგებული იქნა ქიზიყის სოფლების მცხოვრებთა შუამდგომლობა ლაგოდეხის სატყეო „ჭიაურის“ აგარაკში ტყეებით სარგებლობის შესახებ; დათვალიერებულ იქნა ტყის საკულტურო მუშაობა და სხვა.

სავეტერინარო განყოფილება

ამ განყოფილების მიერ უმთავრესი ყურადღება ექცეოდა საქონლის ჭირისა და ციმბირის სენთან ბრძოლის წარმოებას. ზაფხულის თვეების დამდეგს შეიქნა ხელის შემწყობი პირობები აღნიშნულ ეპიზოოტისათვის: საქონლის ჭირი გავრცელდა სამს მაზრაში: ბორჩალოს მაზრაში—1 პუნქტი, ტფილისში—2 პუნქტი, დუშეთის—3 პუნქტი. ყველა მაზრაში საქონელი აცრილია ჭირის საწინააღმდეგო შრატით. იმ მაზრებში, სადაც აცრა დამთავრებულა საქონლის სიკვდილის რაოდენობა 0,5 პროც. განისაზღვრება, რაც ფრიად დამაკმაყოფილებელია, საქონლის ჭირის წინააღმდეგ ბრძოლას ხელს უშლის ის გარემოება, რომ სავეტერინარო პერსონალი მიმოსვლის საშუალების უქონლობის გამო თავის დროზე ვერ მოდის ჭირით დაავადებულ რაიონებში და აგრეთვე ისიც, რომ მცხოვრებლები ჭირის გავრცელების შესახებ მაშინ იძლევიან ცნობას, როდესაც ის საკმაო ზიანს მიაყენებს ხოლმე მათ.

ციმბირის სენი შემჩნეულია ტფილისის, ბორჩალოს, ოზურგეთის და რაჭის მაზრებში, სადაც სწარმოებდა სათანადო აცრა.

სავეტერინარო ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია აწარმოებდენ ჩვეულებრივ მუშაობას.

პროფკავშირებში

ხის დამმუშავებელთა კავშირში.

(პლენუმის სხდომა).

30 ივნისს შესდგა ხის დამმუშავებელთა კავშირის გაფართოებული პლენუმის სხდომა. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: სრ. საქართ. პროფკავშირთა მესამე ყრილობის შედეგები, პრეზიდიუმის ანგარიშები, მოხსენებები ადგილებიდან, საქართველოს სატყეო განყოფილების მოხსენება, სატარიფო, საორგანიზაციო და კულტურული საკითხები.

პროფკავშირთა მესამე ყრილობა.

საქართ. პროფკავშირთა მესამე ყრილობის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ფეოდოროვი. მომხსენებელმა აღნიშნა პროფკავშირთა მუშაობა. უმთავრესი ყურადღება მიქცეული იყო პროფმუშაობის და პროფმოძრაობის გაღრმავებაზე. ამ მხრით საქართველოს პროფკავშირები თითქმის გაუთანასწორდენ რუსეთის პროფკავშირებს. შემდეგ ამისა ამხ ფედოროვმა კრებას გააცნო ის დადგენილებები და რეზოლიუციები, რომელიც იყო მიღებული მესამე ყრილობაზე საორგანიზაციო, ფონდების, ურთიერთ დამხმარე კასის, საფინანსო და კულტურულ საკითხების ირგვლივ.

პრეზიდიუმის ანგარიშები.

პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ ილაპარაკა ამხ. დიმიტრაშვილმა. სექტემბრის თვიდან 22 წ. დღევანდელ დღემდე პრეზიდიუმს მოუწვევია პლენუმი 2 ჯერ. თვით პრეზიდიუმს ჰქონია 7-ჯერ სხდომა. გამგეობას—17, ქარხკომებს—4 ჯერ. ამ სხდომებზე გარჩეული ყოფილა: საორგანიზაციო, კულტურული, შრომის დაცვის, საფინანსო, ურთიერთ დამხმარე კასის, სამეურნეო ორგანოების, სატარიფო და კოლექტიურ ხელშეკრულებების ხასიათის საკითხები. ამრიგად პრეზიდიუმს გაურჩევია სულ 155 საკითხი.

წევრთა რიცხვის რაოდენობა.

კავშირის მიერ გატარებულ აღრიცხვის მიხედვით კავშირში წევრები 25 ივნისისთვის ირიცხებოდა: ტფილისში სულ—355 კაცი. პროვინციაში სულ—516 კაცი.

როგორ მოქმედობდა პრეზიდიუმი.

ამ ხნის განმავლობაში პრეზიდიუმმა გარდა წმინდა პროფკავშირის და საორგანიზაციო საკითხების შემდეგ, ჩაატარა ფართე კამპანიები, მუშათა სანატორიუმ „არაზინდოს“ სასარგებლოდ, მოახდინა ქარხკომების ხელახალი არჩევნები, წევრთა აღრიცხვა და გაწმენდა, გაუწია დახმარება ქუჩის ღარიბ ბავშვებს, ომში დასახიჩრებულ მეომრებს და არ დასტოვა უყურადღებოდ და გამოეხმაურა იტალიაში გაფიცულ რევოლიუციონურ მუშებს.

კულტმუშაობა.

რაც შეეხება კულტმუშაობას აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ ბრძოლა, რომლის განსახორციელებლად კავშირის მიერ მოწყობილი იყო სკოლები. ამ ჟამად კავშირს წერა-კითხვის უცოდინარი წევრი სულ მცირე ჰყავს. ამას გარდა ზოგიერთი წევრთა შვილები დაგზავნილი იყვნენ მუსიკალურ სტუდიაში. მუშები იგზავნებოდენ მუშფაკზე.

რა გაკეთდა სატარიფო დარგში.

მუშათა ხელფასის დაცვა და მისი ნივთიერად უზრუნველსაყოფად უპირველესად გამომუშავდა კოლექტიურ ხელშეკრულებების პირობები. კოლექტიური ხელშეკრულება დაიდო 8 დაწესებულებასთან, ხოლო სატარიფო შეთანხმება მოხდა—5. კავშირმა სისწორით გამოიმუშავა უმცირესი და უმაღლესი მუშათა ხელფასი.

მოხსენებები ადგილებიდან.

შემდეგ გაკეთდა მოხსენებები: საჰილაოდან, ბორჯომის, სუმბათოვის და სხვა ადგილების განყოფილებების წარმომადგენლებისა, რომელთაც პლენუმს გააცნეს განყოფილებების მუშაობა.

ქრონიკა

შრომის კომისარიატში.

— **შორაპნის და ძირულის დამზღვევ კასათა რეორგანიზაცია.** ა.-კ. შრომის კომისარიატის საქ. რწ. სამ. კოლეგიამ დაადგინა ჭიათურის სარაიონო-საქალაქო დამზღვევი კასა გადაკეთდეს შორაპნის სამაზრო დამზღვევ კასათ, ხოლო ძირულაში სარაიონო კასის ნაცვლად მოეწყოს შორაპნის დამზ. კასის პუნქტები.

— **უმუშევრების დაზღვევა.** კოლეგიის დადგენილებით წინადადება მიეცა სოც. დაზღვევის სამმართველოს შეიმუშაოს სათანადო ინსტრუქცია უმუშევართა დაზღვევის წესის შესახებ იმ ადგილებში, სადაც შრომის ბაზრის მოწესრიგება გაუქმებულია.

— **რკინისგზასთან არსებული მკერავთა არტელის რეორგანიზაცია.** რკინისგზასთან არსებულ მკერავთა არტელის რეორგანიზაციის საკითხი კოლეგიის დადგენილებით გადაეცა საქ. პროფკავშირთა საბჭოსთან არსებულ უმუშევრობის წინააღმდეგ მებრძოლ კომისიას.

ქალაქის აღმასკომში

— **წითელი ფლოტის საგიტაციო პლაკატი.** აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა: შეიძინოს ერთი პლაკატი რ. ს. ფ. ს. რ. საზღვაო საქმეთა სახ. კომისარიატის მიერ წითელი ფლოტის სასარგებლოდ გამოშვებული, რომელზედაც მოთავსებული იქნება ფასიანი განცხადებები და დაავალოს საფინანსო განყ. დაიწყოს ხელის მოწერა ვაჭარ-მრეწველთა შორის პლაკატისათვის ფასიანი განცხადებების მისაღებად.

— **ტფ. სახ. მოსამართლეთა დამტკიცება.** პრეზიდიუმმა, იუსტიციის სახ. კომისარიატის მომართვის თანახმად დაამტკიცა ტფ. სახალხო მოსამართლეთა სია 1-ლ უბნის—ამხ. ა. თეთრაშვილი, 3 უბნის—დ. აფციაური, 4—გ. ხუნდაძე, 5—გ. რიდლევსკი, 7—ა. ჩოთიევი, 9—ა. კაპანაძე, 10—მ. ბახტაძე, 12—ს. ხარაბაძე, 13—ი. გაბუნია, დამატებითი მოსამართლეთ: გ. ზაალიშვილი, ი. რცხილაძე, ი. მოსესოვი და ნ. კორინთელი.

— **ამხ. კამოს ძეგლი.** პრეზიდიუმმა უცვლელათ დაამტკიცა მოქანდაკე ი. ნიკოლაძესთან დადებული ხელშეკრულების პროექტი ამხ. კამოს ძეგლის ასაგებათ.

— **დახმარება.** აღმასკომის შეფობის ქვეშ მყოფი კავკ. განსაკ. ცხენოსან ბრიგადის სამხედრო სკოლას დახმარების სახით მიეცა 200 მილიონი მან.

— **დარაბების გადაცემა მუშკოპისათვის.** აღმასკომმა მუშათა მთლიან კოოპერატივს გადასცა ლენინის ქ. მდებარე ორი დარაბა №№ 658,59.

განათლების კომისარიატში

— **ფართალი საბავშვო სახლებისათვის.** განათლების სახალხო კომისარიატმა მიიღო რუსეთში საქართველოს ეკონომიურ წარმომადგენლისაგან სრ. რუსეთის ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის საბავშვო კომისიის მიერ საქართველოს საბავშვო სახლებისათვის საჩუქრად გადადებული 3851 არშინი საზაფხულო ფართალი და 895 ნაჭერი შეკერილი ტანსაცმელი.

— **ბავშვთა მოძრაობა კოლლექტორში.** 1 ივნისისთვის კოლლექტორში სულ ირიცხება 98 ბავშვი, ამათგან 61 ვაჟი და 37 ქალი. ამავე თვის განმავლობაში მიღებული იქნა კიდევ 26 ბავშვი, ამათგან ეროვნების მიხედვით 10 ქართველი, 10 სომეხი, 5 რუსი და 1 ებრაელი. გაეწერა კოლლექტორიდან 21 ბავშვი. 1—5 ივლისისათვის კოლლექტორში ირიცხებოდა 103 ბავშვი.

გამომცემლობა.

— **„ნარკვევი ანარქიზმის შესახებ“.** გამოვიდა პროფ. კავ. სვიატლოვსკის შრომა „ნარკვევი ანარქიზმის შესახებ“. ს. კ. პ. ცენტრ. კომიტეტის გამომცემლობა.

— **ანგარიშები.** განათ. კომისარიატმა გამოსცა განათლების განყოფილებათა გამგეების მესამე ყრილობის ანგარიშები (1923 წ. 12—15 თებერვლის) დაბეჭდილი ლენინის სახელობის პოლიტეხ. ინსტიტუტში.

— **ილიჩის დროშის ქვეშ.** ახალგაზრდათა კომკავშირმა გამოსცა წიგნი: „ილიჩის დროშის ქვეშ“ (მე-12 ყრილობის შედეგები.

კრებები და მოხსენებები.

— დღეს, ივლისის 11, საღამოს 5 საათზე მბეჭდავთა კავშირის კლუბში (რუსთაველის პროსპექტი № 39) მოწვეულია თბილისის პოლიგრაფიული წარმოების კავშირის უპარტიო დელეგატთა კონფერენცია.

შრომის ბირჟა

— **უმუშევრები.** 9 ივლისს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 120 უმუშევარი. ახლად ჩაეწერა—112 უმუშევარი, სამუშაოზე გაიგზავნა—28 კაცი.

— **დახმარება სამშობლოში მიმავალ უმუშევრებს.** წითელი ჯვარის ცენტრ. კომიტეტმა დაადგინა გაუწიოს დახმარება სამშობლოში მიმავალ უმუშევრებს.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი. ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე მოძრაობის უშიშროების დაცვის შესახებ. 1923 წ. ივნისის 21.

რკინის გზაზე მოძრაობის წესიერებისა და უშიშროებისა დაცვის მიზნით **სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:**

1. აღკრძალულია ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკის რკინისგზის ლიანდაგისა, ნაგებობისა, და სხვ. გაწყობილების გაფუჭება, აგრეთვე ყოველგვარი მოქმედება, რასაც შეუძლიან დაარღვიოს რკინისგზაზე მოძრაობის წესიერება და უშიშროება.

2. დიდი სიმძიმის საგნები და, საერთოდ, ისეთი საგნები, რომლებსაც შეუძლიან დააზიანოს რკინისგზის ლიანდაგი, გადაზიდულ და გადატანილ უნდა იქნეს გადასასვლელზე და გადასარონიებელზე აუცილებელი სიფრთხილით და რკინისგზის სამმართველოს თანხმობით.

3. იმ პირთ, რომელნიც არ ეკუთვნიან რკინისგზის მოსამსახურეთა შედგენილობას, არა აქვთ უფლება, ამიერ-კავკასიის რკინისგზის სამმართველოს ნებადაურთველად,—იარონ და ირონინონ რკინისგზის ლიანდაგზე, გარეშე საამისოდ არსებული გადასასვლელისა და გადასარონინებელისა.

4. ამ დადგენილებაში აღნიშნული წესის დარღვევისათვის დამნაშავე მიცემულ იქნება პასუხისგებაში იმ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების მიხედვით, რომელიც შედის ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკის შედგენილობაში.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისაროა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**

ამიერ-კავკასიის სოც ფედერ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **გ. ხარუხანოვი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 3 რაიკომი აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 11 ივლისს, საღამოს 6 საათზე, 3 რაიკომის შენობაში შესდგება 3 რაიკომის გაფართოებულ პლენუმის სხდომა უჯრედების მდივნებთან და უჯრედების დელეგატებთან ერთად.

დღის წესრიგი:

1. რაიკომის განყოფილებების ანგარიში და შემდეგი მუშაობის გეგმა.
2. მიმდინარე საქმეები.

მდივანი გართაპეტიანი.

— თვიური ანგარიშების თავის დროზე წარმოუდგენლობის გამო, მიუხედავათ არა ერთხელ გაფრთხილებისა, საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 რაიკომი მკაცრ შენიშვნას უცხადებს პირადი საქმეში შეტანით უჯრედების შემდეგ მდივნებს:

1. კევხიევი უჯრ. № 2, 2. სტეფანოვი უჯრ. № 6, 3. დეშევოი უჯრ. № 10, 4. გეგეჭკორი უჯრ. № 12, 5. ბოროვოი უჯრ. № 13, 6. სტეფანოვი უჯრ. № 17, 7. ფიალკოვსკი უჯრ. № 18, 8. ზირაქაშვილი უჯრ. № 19, 9. ოგანეზოვი უჯრ. № 23, 10. დოლიძე უჯრ. № 24, 11. პოკროვსკი უჯრ № 28, 12. ანშილევიჩი უჯრ. № 30, 13. კვარაცხელია უჯრ. № 31, 14. თუშიშვილი უჯრ. № 33, 15. კაჩკინცევი უჯრ. № 34, 16. ცულუკიძე უჯრ. № 36, 17. საბაშვილი უჯრ. № 39.

პასუხისმგებელი მდივნის მაგიერ არუსტანოვი.

— ც. კ. სააღრიცხვო-სასტატისტიკო ქვე-განყოფილება წინადადებას აძლევს გამოცხადდენ სამი დღის განმავლობაში პირადი მოსალაპარაკებლათ შემდეგი ამხანაგები:

1. გაბუნია მარგარიტა, 2. ჯამსონ-ბიაშვილი ანნა, 3. მიქაძე მათიკო და 4. ნაზარიშვილი ოლღა.

ც. კ. სააღრიცხვო-სასტატისტიკო ქვე-განყ. გამგე: ლიცინოვი.

განცხადებები

ნახვა და ჩაწერა 9—2 ს. და 4—7 ს. მცირე ხნის განმავლობაში
გავდივარ სრულ კურსს
მათემატიკისას და ვამზადებ
მუშფაკზე, შრომის და სამხედრო სკოლ., საბებიო ინსტიტ (ქალებს), საერთო განათ. კურსებ. შესასვლელად. პლეხანოვის ქუჩა № 25. (შესავალი ალექსის ქუჩიდან № 5). 934—3—3

ტფილისის აღმასკომის სამმართველოს განყოფილება

აცხადებს შეჯიბრებას პურის გამოცხობის იჯარით გასაცემად **ტფილისის ქალაქის მილიციის** თანამშრომლებისათვის, დღეში დაახლოვებით 60 ფ. რაოდენობით.

შეჯიბრება დანიშნულია ამა წლის 17 ივლისისათვის

დღის 12 საათზე სამმართველოს განყოფილების შენობაში (დუმბაძის ქ., ყოფ. ველიამინოვის № 7) ოთახი 8. შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების მსურველთ წინადადება ეძლევათ წარმოადგინონ განცხადებები **დახურულ კონვერტებში** დამატებითი ნამცხვარის რაოდენობის აღნიშვნით. ცნობებისათვის გირაოს შეტანის შესახებ **25.000.000** მანეთის რაოდენობისა ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით, უნდა მიმართონ განყოფილების სალაროს. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება განყოფილების უფროსთან.

სამმართველოს განყოფილების გამგე პრეზიდიუმის წევრი: **თაქთაქიშვილი.**

ადმინისტრატიულ ნაწილის გამგე: **ახვლედიანი.**

კრ. 497 3—1

ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის სამუშაოთა საჭიროებისათვის

საჭიროა გეოდეზიური ინსტრუმენტები:

1. თეოდოლიტი წ. — — 1 ცალი
2. ნიველირი — — — 2 ცალი
3. საზომი რტუელა (ლენტი ფოლადის სარჭეებით) — 2 ცალი
4. სანიველირო ლარტყა — 9 ცალი
5. კუთხსაზომი (გონიომეტრი) 2 ცალი

წინადადება მოწოდების შესახებ წარმოდგენილ იქნეს არა უგვიანეს 12 ივლისისა ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის სამუშაოთა უფროსის სახელზე. ტფილისის აღმასკომის შენობა, ველიამინოვის ქუჩა № 3. 2—1

ამიერ-კავკასიის ფინან. სახალხო კომისარიატი

აცხადებს, რომ თანახმად ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა 1923 წ. 16 ივნისიდან № 56, რომელიც გამოქვეყნებული იყო. გაზ. „ზარია ვოსტოკაში“ ა/წ. 19 ივნისის თარიღით № 138.

ურთიერთ შორის ანგარიშების გასასწორებლათ ყველა სახელმწიფო დაწესებულებები, სახელმწიფო წარმოებები, სინდიკატები, ტრესტები, კომბინატები და სხვა გაერთიანებები და მათი ფილიალური განყოფილებები, კონტორები და სააგენტოები, რომელნიც ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობენ, და აგრეთვე ყველა კომუნალური დაწესებულებები დ წარმოებები

ვალდებულნი არიან

იყონ ურთიერთ შორის ანგარიშების გასწორების განყოფილების წევრებათ, რომელნიც დაარსებული არიან სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის საოლქო კონტორასთან და აღნიშნულ ბანკის სხვა კონტორებთან და განყოფილებებთან ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპ. ქალაქებში.

ამ დადგენილების შესრულებისათვის ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი **წინადადებას აძლევს ყველა დასახელებულ დაწესებულებებს** აღნიშნული დეკრეტის 2 მუხლის ძალით, **საჩქაროთ შევიდნენ ურთიერთ შორის ანგარიშების გასწორების განყოფილების წევრებათ და მიიღონ დაწესებული ჩეკების წიგნაკი ურთიერთ შორის ანგარიშების გასასწორებლათ.**

ამასთანავე ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი აფრთხილებს დასახელებულ დაწესებულებებს, რომ **ურთიერთ შორის ანგარიშების გასწორების განყოფილების** ყველა წევრები მათ პირობით ანგარიშზე გახსნილ კრედიტის ფარგლებში

ვალდებულნი არიან

ანგარიში გაასწორონ ერთმანეთთან მხოლოდ და მხოლოდ ჩეკებით და

უფლება არა აქვთ

უარი სთქვან ასეთივე ჩეკების მიღებაზე ურთიერთ შორის ანგარიშების გასწორების განყოფილების სხვა მონაწილეთაგან, ხელმძღვანელების სასამართლოს წინაშე პასუხისგებით დაწესებულ წესით.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარი **იზმაილოვი.**

კრ. 496-1-1

კბილის ექიმი
ს. ა. ცეიტლინი
ხაპიორის ქ. № 41, მიღება მუდამ დღე 9—2 საათ. დღის და 4—7 ს. საღ.
კვირაობით 9—2 ს. დღის
ხელოვნური კბილები. ოქროს მუშაობა 25—21

ელექტრონის სინათლის და
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ხირურგიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25—16)

ქ. თბილისის 1-ლი უბნის სახალხო მოსამართლ

იწვევს სასამართლოში მარიამ ალექსის ასული იანოვას, როგორც მოპასუხეს ვასილი გერასიმის ძე ფედოროვასთან განქორწინების შესახებ აფრთხილებს მას, რომ თუ ის ორი თვის განმავლობაში დღიდან ამის გამოქვეყნებისა არ გამოცხადდება, დანიშნული იქნება საქმე და გამოტანილ დაუსწრებელი დადგენილება.

1-ლი რაიონის სახალხო სასამართლო იმყოფება სასამართლოს ქუჩ. № 32.
942—1—1
სახალხო მოსამართლე **ნ. კორინთელი.**

დავკარგე წიგნაკი რკინის გზელთა საუბნო პროფესიონალურ კავშირისა ლადო სარაულის სახელობისა. ჩაითვალოს გაუქმებულად. 941—1—1

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, კრუზენშტერნის ქუჩა № 4.